პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 825 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— კომინტერნში: ნორვეგიის და სამხრეთ [illegible] შესახებ

— ახალგაზრდათა კომინტერნში: აღმასკომის მოხსენება.

— კრასინის მოლაპარაკება მუსოლინთან.

— იტალია გზავნის პოლიტიკურ წარმომადგენელს მოსკოვში.

— სენ-ეტიენის სავაჭრო პალატა მომხრეა რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განახლების.

№ 282 პარასკევი, 8 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 282

პროვინციელ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

დაბეჯითებით ვსთხოვთ ყველა ხელის მომწერლებს, რომლებიც თავის დროზე ვერ იღებენ გამოწერილ გაზეთებს, აცნობონ ამის შესახებ თვითეულ შემთხვევაში ან გამოწერილ გაზეთის რედაქციას, ან კანტორას (რუსთველის პროსპექტი № 24) მიუღებელ გაზეთების №№-ის აღნიშვნით

გაზეთები იგზავნება მხოლოდ ფასით, რომელიც უნდა შეტანილ იქნეს გაზეთის ცენტრალურ კანტორაში (რუსთველის პრ. № 24) ნისიათ გაზეთი არ გაიგზავნება

0—2

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

ამას წინედ გამოიცა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის დებულება სათემო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ.

პროექტი ადგილობრივი ხელისუფლების რეორგანიზაციისა შემუშავებული და წარდგენილი იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ცაკის მეორე სესიაზე, რომელიც შესდგა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. სესიამ ამ პროექტის დაწვრილებითი განხილვა-გადამუშავება მიანდო ცაკის პრეზიდიუმს. შედეგად უკვე გვაქვს „დებულება“, რომელზედაც გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

გამოქვეყნებული დებულება მიზნად ისახავს ადგილობრივი მართვა-გამგეობის აპარატის გამარტივებას და დემოკრატიული ცენტრალიზმის განხორციელებას.

ამ დებულების მიხედვით, თემი ირჩევს საბჭოს, ხოლო ეს უკანასკნელი სამი წევრისაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტს. ეს სამი წევრი, შეძლებისდაგვარად, უნდა იყვნენ წარმომადგენელნი თემის სამი რაიონისა; ამგვარად, ამ გზით უკეთაა უზრუნველყოფილი თემში შემავალ უბნების განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა ცოდნა და მათთვის სათანადო ანგარიშის გაწევის შესაძლებლობა. ამასთან ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აქ სავსებით დაცულია მართვა გამგეობის კოლეგიალური სისტემა, რაც გამომდინარეობს საბჭოთა სისტემის ბუნებიდან. აღმასკომი კოლეგიალურად, კოლექტიურად აწარმოებს თემის მიმდინარე საქმეებს და მთელი თავისი შემადგენლობით პასუხისმგებელია ამომრჩევ საბჭოს წინაშე. ასეთი სტრუქტურის დროს უარყოფილია პიროვნული თვითნებობის და დიქტატორობის შესაძლებლობა. მეორე მხრივ ბოლომდე დაცულია სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის პრინციპი, რამდენად სათემო აღმასკომი თავის მოქმედებისთვის უშუალოდ პასუხისმგებელია და ანგარიშ ვალდებული მის ზევით მდგარ საბჭოთა ორგანოს, სახელდობრ სამაზრო აღმასკომის წინაშე. სიმარტივე აპარატისა კი იმაში გამოიხატება, რომ სათემო აღმასკომთან არ არსებობს ცალკე განყოფილებები და მას აქვს მცირე შტატი—კანცელარია—ერთი მდივნით და ერთი გადამწერით.

ასეთივე საფუძვლებზეა აგებული სამაზრო აღმასკომიც. სამაზრო აღმასკომი პასუხისმგებელია სამაზრო საბჭოთა ყრილობის წინაშე და უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს; ის აგრეთვე ეწევა პასუხისმგებლობას სათემო აღმასკომების მოქმედებისათვის და არის მათი ხელმძღვანელი და მეთვალყურე.

სამაზრო აღმასკომი, რომლის წევრთა რიცხვი უნდა იყოს 13-ზე არა მეტესი, გამოყოფს თავის შემადგენლობიდან 3 კაცისაგან შემდგარ პრეზიდიუმს. აღმასკომთან არსდება განყოფილება: სამმართველო განყოფილება, სამხედრო, საფინანსო, საადგილ-მამულო, კომუნალური, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის. სამმართველო ქვე-განყოფილებას აქვს ქვეგანყოფილებები: საინსტრუქტორო-საინფორმაციო, სამილიციო, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წერის; სამმართველო განყოფილებასთან არსებობს ერთი საერთო კანცელარია ყველა მის ქვეგანყოფილებისათვის, რაც საგულისხმოა მუშაობის სიმარტივის და შტატის სიმცირის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ცალკე არსებობს შრომის განყოფილება იქ, სადაც არის პროფესიულ ბიუროს სამმართველობები; ამით სათანადოდ იქნება დაცული დაქირავებული შრომის უფლება-ინტერესები. აგრეთვე სასურსათო კომისარიატს ყავს მაზრაში თავისი რწმუნებული, რომელიც გაუწევს მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას კოოპერაციის მუშაობას. ეს იმიტომ, რომ სასურსათო კომისარიატზე დაკისრებული ფუნქციები—სასურსათო პროდუქტების დამზადება, განაწილება და სასურსათო გადასახადის აკრეფა გადადის ადგილობრივი მომხმარებელ კოოპერაციის ხელში. ფუნქციების ეს გადაცემა ხორციელდება თანდათანობით, ადგილობრივ საკოოპერაციო გაერთიანებათა განმტკიცების მიხედვით. ამგვარად, კოოპერაციას უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში, და განახლებულმა კოოპერაციამ ეს უნდა სათანადოდ შეიგნოს.

კიდევ გვინდა აღვნიშნოთ „დებულების“ რამოდენიმე მომენტი. ერთი, რასაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ, ესაა ის, რომ სამმართველო განყოფილების გამგის და მილიციის უფროსის თანამდებობის შეთავსება არ შეიძლება. ასეთი შეთავსება რომ დაშვებული ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა აცილებული ისეთი მოვლენა, რომ მაზრის სვებედს ფაქტიურად ჩაიგდებდა ხელში მილიციის უფროსი, იგივე სამმართველოს გამგე და ერთგვარ თვითნებობას და უპასუხისმგებლობას მიეცემოდა გასაქანი. ეხლა კი მილიციის უფროსად ინიშნება სხვა პირი, და აღმასკომს შეუძლია მილიციის მოქმედებას ფხიზელი კონტროლი გაუწიოს.

ერთ საგულისხმო მომენტად მიგვაჩნია სამაზრო აღმასკომის დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ის უშუალოდ ექვემდებარება უკანასკნელს. სხვათა შორის, ფაქტიურად ეს უკეთ განხორციელდება მაშინ, როცა სამაზრო აღმასკომი მჭიდროდ დაკავშირებულია ცენტრთან და როცა ცენტრი თავის დროზე გაცნობილია მის მუშაობას და მაზრის მდგომარეობას. „დებულების“ მიხედვით, სამაზრო აღმასკომი ვალდებულია ყოველ სამ თვეში წარადგინოს ცენტრში სათანადო ანგარიში. გარდა ამისა, ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას იმას, რომ აღმასკომს აქვს უფლება შუამდგომლობისა ცენტრალურ ხელისუფლების განკარგულების გაუქმების შესახებ, თუ ის მას მიზანშეუწონლად სცნობს, განკარგულების შესრულების შეუჩერებლად. ამასთან, სამაზრო აღმასკომს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისარის განკარგულების შესრულება, თუ, კომიტეტის აზრით, იგი ეწინააღმდეგება ძირითად კანონებს, მხოლოდ სამაზრო აღმასკომი, მთელი თავისი შემადგენლობით პასუხისმგებელია სასამართლოს წესით განკარგულების შესრულების უკანონო შეჩერებისათვის.

ასეთია ზოგიერთი მომენტები ხსენებულ დებულებისა. მასში დაცულია მართვა გამგეობის კოლეგიალური სისტემა, აპარატის სიმარტივე და დემოკრატიული ცენტრალიზმი. დებულება ნაკარნახევია საბჭოთა რეჟიმის პრინციპებით და ცხოვრების გამოცდილებით. შემდეგი პრაქტიკა უკეთ დაგვანახვებს, თუ რამდენად სისრულით და სწორად გამოხატავს აღნიშნული დებულება ცხოვრების მოთხოვნილებებს.

რადიო-ტელეგრამები

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 7 დეკემბ. განიარაღების კონფერენციის ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა პოლონეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი თავდასხმისაგან თავის შეკავებისა და არბიტრაჟის შესახებ, და აგრეთვე განხილულ იქნა შესწორებები, შეტანილი რუსეთის და ლიტვის დელეგაციების მიერ.

რუსეთ-იტალიის დამოკიდებულება

ამხ. კრასინი რომში

მოსკოვი. 7 დეკ. 5 დეკემბერს რომში ჩავიდა ამხ. კრასინი რუსეთის და იტალიის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

კრასინის მოლაპარაკება მუსოლინთან.

მოსკოვი. 7 დეკ. რომიდან მიღებულ ცნობებით, კრასინს მუსოლინთან ჰქონდა თათბირი რუსეთისა და იტალიის შორის დამოკიდებულების განახლების შესახებ. გადაწყვეტილია, რომ იტალია გზავნის თავის პოლიტიკურ წარმომადგენელს მოსკოვში.

იტალიასთან შეთანხმება.

მოსკოვი, 7 ნოემბერი. (რადიო ტელეფონოგრამა). „პტი პარიზენ“-ის ცნობებით, კრასინს და მუსოლინის შორის მიღწეულია შეთანხმება ორ მუხლში: 1) იტალია გზავნის თავის პოლიტიკურ წარმომადგენელს მოსკოვში და 2) უნდა დაარსდეს რუსეთ-იტალიის კომისია ყველა ეკონომიურ და სავაჭრო საკითხების შესასწავლად, რომელიც აინტერესებს ორივე სახელმწიფოს.

ლოზანის კონფერენცია

რუსეთის დელეგაცია და კონფერენციის მუშაობა.

მოსკოვი. 7 დეკემბ. ფიქრობენ, რომ ჩიჩერინი მკაცრე პროტესტს განაცხადებს კონფერენციის ყველა მუშაობაში მონაწილეობისათვის რუსეთის დელეგაციის დაუშვებლობის წინაამდეგ. რუსეთისათვის სავალდებულო არ იქნება მისი მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებანი.

ნავთი და კონფერენცია.

მოსკოვი. 7 დეკ. რეიტერის სააგენტოს მოჰყავს განცხადება ბრიტანეთის ავტორიტეტულ წყაროებიდან, რომელიც უარყოფს ხმებს, რომ თითქოს ლოზანის კონფერენციაზე პირველი ადგილი ეჭიროს ნავთის ინტერესებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ არც ლოზანაში და არც მის მახლობლად არ არის ნავთის საზოგადოებათა არც ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი.

ამ განცხადების საწინააღმდეგოთ გაზეთები აღნიშნავენ, რომ ნავთის საკითხის შესახებ ყოველ დღე სწარმოებს მოლაპარაკება სხვა და სხვა დელეგაციებს შორის.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომის მიზეზები.

მოსკოვი. 7 დეკ. ინგლისის პრესა აქვეყნებს ცნობებს, რომლითაც მტკიცდება, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომს ხელმძღვანელობდა ინგლისი.

საკითხი სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. 4 დეკ. ლოზანის კონფერენცია შეუდგა სრუტეების საკითხის განხილვას კომისიაში კერზონის თავმჯდომარეობით. ჩიჩერინმა გამოაქვეყნა დეკლარაცია და რუსეთის თვალსაზრისი სრუტეების საკითხის შესახებ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ჩიჩერინმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა რუსეთის თვალსაზრისი. სავაჭრო გემების თავისუფალი მიმოსვლა სრუტეებში, სამხედრო გემების გავლის აკრძალვა, ოსმალეთისათვის სრუტეების გამაგრების უფლების მინიჭება.

ოსმალოებმა განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ თვალსაზრისს გამოსთქვამენ ყველა დანარჩენ სახელმწიფოების შემდეგ.

— გერმანიის პრესის რადიო იტყობინება, რომ სრუტეების საკითხში რუსეთ-ოსმალეთის ბლოკის მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვინემ მოკავშირეების. რუსებს პრაქტიკულ მოთხოვნილებებში სრუტეების შესახებ აქვთ შესაძლებლობა უფრო მეტი მოითხოვონ. ვინემ ოსმალოებმა.

შესაძლებელია კონფერენციის გადადება.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. იტყობინებიან, რომ შესაძლებელია ლოზანის კონფერენციის გადადება ბრიუსელის კონფერენციის დამთავრებამდე. ამ ხნის განმავლობაში ისმეტ-ფაშა გაემგზავრება ანგორაში ახალ ინსტრუქციებისათვის.

კონტროლი სრუტეებზე.

მოსკოვი. 7 დეკემბ. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ ლოზანის კონფერენციის საზღვაო ექსპერტებმა პროექტი სრუტეების კონტროლისათვის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ პრაქტიკულად უსარგებლოთ სცნეს. მიუხედავად ამისა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობა მხარს დაუჭერს ამ პროექტს.

ლოზანის კონფერენციის ბედი.

მოსკოვი. 7 დეკემბერი, პრესის ცნობით, მდგომარეობა კონფერენციაზე ძალიან მწვავეა. გადმოგვცემენ, რომ მოლაპარაკებამ კერზონსა და ისმედ-ფაშას შორის გამწვავებული ხასიათი მიიღო. აგრეთვე იუწყებიან, რომ კერზონი მოითხოვს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტას და საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის სადაო ტერიტორიალური საკითხების განხილვის გადადებასაც შობამდე ფრანგები, წინააღმდეგ, მოითხოვენ ყველა სადაო საკითხების დაუყონებლივ გადაწყვეტას.

ანგორა და რუსეთი.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. ჩიჩერინმა ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების კომისართა საბჭოს თავმჯდომარისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც უკანასკნელი მადლობას უხდის ჩიჩერინს მისი მისალმებაზე ეროვნულ კრების მიერ მიღებულ დადგენილებისა ოსმალეთში სულთანის ერთ პიროვნულ ხელისუფლების მოსპობის გამო. ოსმალეთის მთავრობა დარწმუნებულია,—ნათქვამია დეპეშაში: რომ ძმობის და მეგობრობის კავშირი რუსეთის და ოსმალეთის ხალხთა შორის უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება.“

პრემიერების თათბირის გამო

თათბირის ვადა

ჰანოვერი. 7 დეკემბ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეების პრემიერების თათბირი გაიხსნება 9 ოქტომბერს ლონდონში.

ამერიკის გავლენა

ნაუენი. 7 დეკემბერი „მანჩესტერ გარდიენ“-ს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ამერიკა იქონიებს თავის გავლენას ლონდონის თათბირზე.

დელეგაციების ჩასვლა

ლიონი. 7 დეკემბერი. პუანკარეს საფრანგეთის დელეგაციას მოელიან ლონდონში პარასკევს. ამავე დღეს მივა ბელგიის დელეგაცია, ფენისის დაქასპირის შემადგენლობით.

ახლო აღმოსავლეთში

ყოფილი სულთანი.

ლიონი 7 დეკემბერი. ქაირიდან მოსულ ცნობის მიხედვით, ყოფილ სულთანმა მიიღო მეფე გუსეინის მიპატიჟება მექაში გადასახლების შესახებ.

ლონდონი. 7 დეკ. ოსმალოებმა ქალაქიდან გასვლის ნება არ დართეს ოსმალეთის არა მუსულმან მოქალაქეთ. რომელთაც არ აქვთ შეტანილი საპასპორტო გადასახადი. ინგლისის ჯარებმა ტყვიისფრქვევებით დაიკავეს სახაუ, რის შემდეგ ოსმალოები დათმობაზე წავიდენ. ამ საკითხის უმაღლეს კომისართან განხილვის დროს რეფეთ ფაშამ განაცხადა, რომ მოკავშირეთ არ აქვთ უფლება ჩაერიონ ამ საკითხში.

გერმანიის ამბები

სახელმწიფო ბანკის ანგარიში.

ჰანოვერი. 7 დეკ. სახელმწიფო ბანკის 30 ნოემბრის ანგარიშიდან სჩანს, რომ ქაღალდის ფულის ტრიალი გადიდდა 110—754 მილიარდ მარკამდე.

პოლონეთი და გერმანია.

ნაუენი. 7 დეკ. პოლონეთი მოითხოვს, რომ გერმანიამ ყოველთვიურად მიაწოდოს მას 1,6 ტონა ნახშირი. გერმანია აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ამ მოთხოვნის ასრულება.

კუნოს განზრახვანი.

პარიზი. 7 დეკ, კანცლერ კუნოს განზრახვა აქვს შეიტანოს წინადადება რეიხსტაგის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ 1923 წ. თებერვალში ბურჟუაზიულ პარტიების კოალიცია მხარს უჭერს ამ პროექტს.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი. 7 დეკემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო მისალმებელი დეპეშა ნიკოლაევსკის სამაზრო რევკომისაგან, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ რევკომის ძალა უფლება გავრცელდება შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის უკანასკნელ ნაჭერ მიწაზე—სახალინის ჩრდილოეთ ნაწილზე.

— რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩაირიცხონ შორეულ აღმოსავლეთის პროფკავშირები სრულიად რუსეთის გაერთიანების შემადგენლობაში.

— ნიკოლაევსკში მოეწყო პირველი შრომის არტელი სახალინის ოლქში ოქროს ამოსაღებად.

სხვადასხვა ამბები

რუსეთი და საფრანგეთი

მოსკოვი. 7 დეკემბერი. **სენ-ეტიენის სავაჭრო პალატამ მხარი დაუჭირა მარსელის სავაჭრო პალატის წინადადებას რუსეთში საერთო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობის გამარკვევის მიზნით.**

იაპონია და რუსეთი

მოსკოვი, 7 დეკემბერი. იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს მოაწყოს საზოგადოება მთავრობის და კერძო კაპიტალის მონაწილეობით რუსეთთან ვაჭრობის გაძლიერების მიზნით. ფიქრობენ, რომ დეკემბერს ტოკიოში შესდგება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობაში დაინტერესებული სავაჭრო-სამრეწველო წრეების ყრილობა.

ლატვია და განიარაღება

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ლატვიის მთავარ შტაბის უფროსმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ლატვიის განიარაღება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის წინასწარ განიარაღების შემდეგ. მან აღნიშნა, რომ სანაპირო ნეიტრალური ზონები უფრო ღრმად უნდა შეიჭრას რუსეთის ვიდრე ლატვიის ტერიტორიაში.

პოლონეთი

მოსკოვი. 7 დეკემბ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, პილსუდსკიმ საბოლოოდ უარი სთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტად მისი კანდიდატურის წამოყენებაზე და განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოღვაწეობა ძლიერ შეზღუდულია კონსტიტუციის მიერ. პილსუდსკი რჩევას იძლევა აირჩიონ პრეზიდენტად ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლება კომპრომისებზე წასვლა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი. 7 დეკ. სამი დღის განმავლობაში მოსკოვის საბჭოში არჩეულია 859 დეპუტატი, აქედან 824 კომუნისტი და 35 უპარტიო.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 7 დეკ. კიევის სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა დახვრეტა მე-8 დივიზიის სასურსათო ბაზის 4 თანამშრომელს ქურდობისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

მოსკოვი. 7 დეკ. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ყირიმის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გოლიევმა გამოსთქვა თავისი აზრი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობის ჩქარ აღდგენას და შექმნის ერთფეროვნებას რესპუბლიკების ურთიერთობაში.

კომუნისტური უნივერსიტეტი.

მოსკოვი. 7 დეკ. სარატოვში 8 დეკემბერს გაიხსნა კომუნისტური უნივერსიტეტი.

შაქრის წარმოება.

მოსკოვი. 7 დეკ. მიმდინარე წლის შაქრის წარმოება უკრაინაში ერთ ნახევრით აღემატება 1920—21 წლების (ერთად აღებულს) წარმოებას.

კომინტერნში

მეოთხე კონგრესი

ბორდიგას სიტყვა.

ბორდიგა. იტალიის დელეგაციის უმრავლესობის სახელით და კაციოდილი უმცირესობის სახელით აცხადებენ, რომ ისინი ემორჩილებიან კომინტერნის დადგენილებას სოციალისტური პარტიის გაერთიანების საკითხში.

სერატიმ სოციალისტური პარტიის სახელით განაცხადა, რომ რომის ყრილობამ გამორიცხა რეფორმისტები, მიიღო 21 პირობა და მხარი დაუჭირა კომპარტიასთან გაერთიანების საკითხს.

რეზოლიუცია იტალიის საკითხის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული.

რადეკის სიტყვა.

— მოხსენებაში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის შესახებ რადეკმა აღნიშნა ამ პარტიის ნაკლი და მიუთითა ოპოზიციის მხრივ დისციპლინის დარღვევაზე.

კომინტერნის ჩეხო-სლოვაკიის საკითხის კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში პროლეტარულ ელემენტების მხრივ ოპოზიციის არსებობა, ერთხმად უარყო წინადადება გარიცხვის (დამახინჯებულია).. და დაკმაყოფილდა, პარტიის მომავალ ყრილობამდე, მისი წარმომადგენლების საპასუხისმგებლო ადგილებიდან გადაყენებით.

შმერალმა ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის უმცირესობის სახელით განაცხადა, რომ ის უერთდება ამ რეზოლიუციას. რეზოლიუცია მიღებულ იქნა.

მოსკოვი. 7 დეკემბ. კომინტერნის კონგრესის სხდომაზე 5 დეკემბერს ფელიქს კონი მოხსენებაში სამხრეთ სლავიის საკითხის შესახებ ამბობს: „1919—1920 წ. სამხრეთ სლავიის კომპარტია უეცრად გაძლიერდა და გაგზავნა პარლამენტში 59 დეპუტატი და დაიპყრო ბევრი თვითმართველობები მაგრამ კომუნისტური იარლიკის მიღების შემდეგ, პარტიას კიდევ შერჩა ესდეკების პარტიის უარყოფითი მხარეები. ის რჩებოდა (გამოტოვებულია)... არ ცდილობდა შეეკავშირებინა მუშათა მასები რევოლიუციონურ ბრძოლისათვის, პარტიამ დაუშვა ბევრი შეცდომები. პრაქტიკულმა ბრძოლამ ძლიერ შეაფერხა რევოლიუციონური მუშაობა. შედეგად მივიღეთ პარტიის განადგურება კლასიურ მოწინააღმდეგეების მიერ. პარტიას და მუშათა კლასს წილად ხვდა რეპრესიები.

კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებენ სამხრეთ-სლავიის კომპარტიას შესწყვიტონ ფრაქციული ბრძოლა და შეუდგენ შეთანხმებულ მუშაობას.

ბუხარინი მოხსენებაში ნორვეგიის კომპარტიის შესახებ ამბობს: პარტიაში არსებობს ორი ძირითადი მიმართულება, პირველი შეადგენს პარტიის უმრავლესობას მას ეჩნევა სინდიკალისტური და რეფორმისტული ტენდენციები. ეს ფრაქცია უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პროფესიონალურ მოძრაობას და თავის მოღვაწეობაში პოლიტიკას ჰყოფს ეკონომიკისაგან. ფრაქცია სრულებით არ იყენებს ბურჟუაზიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს. ის გადაჭრით ეწინააღმდეგება კომინტერნის ჩარევას პარტიის საქმეში. მეორე მიმართულებას, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს, უჭირავს უფრო მარქსისტული პოზიცია და აუცილებლად მიაჩნია პოლიტიკური ბრძოლა.

კონგრესი ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომლითაც წინადადება ეძლევა ნორვეგიის პარტიას სისწორით გაატარონ კომინტერნის დადგენილებანი.

მოსკოვი. 7 დეკემბ. 5 დეკემბერს საღამოს კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე სამხრეთ ამერიკის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ვარგამ, რომელმაც აღნიშნა მექსიკის პარტიაში არსებული უთანხმოება პარლამენტიზმის საკითხის და პრომოძრაობის სფეროში მუშაობის შესახებ.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადება ეძლევა მექსიკის კომპარტიას განაგრძნოს პარლამენტარული მუშაობა და შექმნას კომიაჩეიკები არსებულ პროფორგანიზაციებში. პოლონეთის და ბრაზილიის საკითხები გადაეცა კომისიას საფუძვლიანად შესწავლისათვის.

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი

— 5 დეკემბერს, კომინტერნის კონგრესის საბოლოო სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი აღმასრულებელი კომიტეტის სია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ზინოვიევი, წევრები—ფროსარი და სუვარი (საფრანგეთი), ცეტკინი (გერმანია), ბუხარინი და რადეკი (რუსეთი), შმერალი და ნეირატი (ჩეხო-სლოვაკია), ჯენარი და გრამში (იტალია), შილერი და შაცკინი (ახალგაზრდობის კომინტერნი), მაკ მანუსი (ინგლისი), კარრ (ამერიკა), ხეგლუნდი (ნორვეგია), პრუხნიაკი (პოლონეთი), კუუსინენი (ფინეთი), კოლაროვი (ბოლკანეთი), გარდენი (ავსტრალია), შტიურმერი (სამხრეთ ამერიკა), ანდრიუ (სამხრეთ აფრიკა), კატაიამა და საფაროვი (აღმოსავლეთის ქვეყნები).

ახალგაზრდათა კომინტერნის მესამე კონგრესი

მოსკოვი 7 დეკემბ. 6 დეკემბერს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის სხდომაზე შაცკინმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებით აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნა რომ აღმასკომი ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებია მე-2-ე კონგრესის დადგენილება, რომელიც ამბობს, რომ ახალგაზრდობის მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს კომპარტიას. ახალგაზრდობის ორგანიზაციის ამოცანა არის პროლეტარული ახალგაზრდობის კულტურულ და სამეურნეო ბრძოლის ხელმძღვანელობა. აღმასკომმა მოაწყო ანკეტა ახალგაზრდობის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ პასუხი მივიღეთ მხოლოდ ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან. აღმასკომი იღებდა აგრეთვე მონაწილეობას ცალკე კავშირების ანტი-მილიტარისტულ აგიტაციაში. თავისი მუშაობით განათლების სფეროში აღმასკომი ცდილობდა ახალგაზრდობიდან პოლიტიკურ ბრძოლისათვის პრაქტიკულად მომზადებულ კომუნისტების შექმნას. ბავშვთა ჯგუფებში მუშაობა გაფართოვდა, მოძრაობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ცოტა რამ გაკეთდა სტუდენტობის მოძრაობის სფეროში და სოფლის ახალგაზრდობის გათვითცნობიერების დარგში. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი მონაწილეობას იღებდა ერთიანი ფრონტის კამპანიაში და სავსებით მიჰყვებოდა კომინტერნის ტაქტიკას. აღმასკომმა მიმართა ახალგაზრდობის რეფორმისტულ ორგანიზაციებს წინადადებით ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ კაპიტალის წინააღმდეგ გაერთია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს მიმდინარე წლის 8 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან საკითხი კომინტერნის მე-4 კონგრესის შესახებ (გაგრძელება) მასალების მიღება შეიძლება ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

პასუხისმგებელი მდივანი მ. კახიანი.

1923 წლის 25 იანვარს ქ. ჭიათურაში,
ადგილობრივ თეატრის დარბაზში,
დილის 11 საათზე შესდგება
ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების
აქციონერთა არა ჩვეულებრივი
საზოგადო კრება
განსახილველი საკითხები:
1. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
1. მიმდინარე საკითხები.
გამგეობის თავმჯდომარე ის. ხოფ. ჟარაზაშვილი.
გამგეობის მდივანი ი. ბერეჟიანი.
(632—3—1)

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
„საცსამზო"
მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 3, ტელ. 3—26, დეპეშის მისამართი—ტფილისი, „საცსამზო", განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ სენაკში
ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარ ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა. (კრ. 682—10—1)

ნებული ბრძოლის საკითხის განსახილველად, მაგრამ ამსტერდამელებმა უარი სთქვეს წინადადებაზე. კავშირი ალმასკომსა და ცალკე ორგანიზაციებს შორის საკმაოდ მჭიდროა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველაზე მეტი გამარჯვება მოვიპოვეთ შორეულ აღმოსავლეთში და წინადადება მისცა კონგრესს გამოიტანოს რეზოლიუცია უფრო მტკიცე დისციპლინის შემოღების და ცალკე ორგანიზაციების და ალმასკომს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი

ბაქო, 6 დეკემბერი. ამიერ კავკასიის ესერების პროცესის მსვლელობაში დადგა მეტად სერიოზული მომენტი: ლენქორანის მაზრაში მომხდარ ბანდიტურ გამოსვლებში ესერების მონაწილეობის გამორკვევა; კავშირი ვრანგელის თეთრ გვარდიელებთან; 1921 წ. ოქტომბერში შეიარაღებულ აჯანყების მომზადებაში მონაწილეობა. ბრალდებულმა ოსინცევმა და ფონშტეინმა თავისი პარტიული ამხანაგის კარაშარლის საშუალებით მიიღეს ფული და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ფიქტიური მიწერილობა ლენქორანში და პრიშიბში გამგზავრების შესახებ, სადაც ამ დროს წითელი არმიის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ბანდიტები. ოსინცევმა და ფონშტეინმა კავშირი დაიჭირეს ბანდის ხელმძღვანელებთან კულამ-ხანთან, ბელოლიპეცკისთან, რუდაკოვსკისთან, მოსკალენკოსთან და კესლერთან, რომელთა საქმე სასამართლოს მიერ გამოყოფილია ცალკე. ამ ხანებში ბაქოში მყოფმა ესერებმა კავშირი დაიჭირეს პოლკოვნიკ გაიდუკოვთან, რომელსაც ჰყავდა 1921 წ. ივნისში კონსტანტინეპოლიდან ჩამოყვანილი 7500 თეთრგვარდიელი. დაარსდა ბაქოს გენერალური შტაბი, რომელსაც კავშირი ჰქონდა კარტაშევის ესერების რაზმებთან და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ გენერალ პრჟევალსკისთან.

პარიზის ადმინისტრატიული ცენტრი იტყობინებოდა, რომ კავკასიაში არსებობს 73 შტაბი და თეთრგვარდიელთა რაოდენობა აღწევს 110 ათასს. განზრახული იყო სამრეწველო დაწესებულებების აფეთქება ბაქოში და გროზნოში, რათა ერთბაშათ დაეზიანებით საბჭოთა ფედერაცია. გაიდუკოვის საქმე ჯერ კიდევ დეკემბერში დამთავრდა მისი დახვრეტით. მონარხისტ ივანოვმა მოაწყო ბალახანში თეთრგვარდიელების მებრძოლი რაზმი და განაგებდა იარაღის საწყობს. ვრანგელის მომხრეები ითხოვდნენ თავიანთთვის სამხედრო ძალაუფლებას, სამოქალაქოს კი უთმობდნენ ესერებს. ბაქოს ორგანიზაციის აქტიური წევრები, თუ თვითონ არ ღებულობდნენ მონაწილეობას, ხელს არ უშლიდნენ ერთი მეორეს აჯანყების მომზადებაში და თითქმის ეხმარებოდნენ კიდეც. პროცესის ცენტრალური ფიგურები არიან ოსინცევი, ფონშტეინი, საფიკიურდსკი და კარაშარლი.

ორი დღის შემდეგ გამოტანილ იქნება განაჩენი.

საბჭოთა ყრილობები.

სენაკი.

(დეპეშები)

სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს.

სენაკის მაზრის მ. გლ. და წ. არმიის საბჭოების მეორე ყრილობა მხურვალედ ესალმება სრულიად საქართველოს მ. გლ. და წ. არმიის საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და უსურვებს მას წარმატებით მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად საქართველოში.

გაუმარჯოს მშრომელ მასას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ყრილობის თავმჯდომარე ს. მამულია.

ქ. ნალჩიკი.

თფილისი, ამხ. ორჯონიკიძეს.

კაბარდო-ბალკარიის ავტონომიურ ოლქის საბჭოთა ყრილობა ძმურ სალამს უგზავნის მშრომელთა წინამძღოლებს და არა მარტო კაპიტალისტურ, არამედ ნაციონალურ ჩაგვრისაგან განმათავისუფლებელთ.

პატარა კაბარდო და ბალკარია იძლევიან სიტყვას ხელი შეუწყონ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ და სამეურნეო აღმშენებლობას.

ყრილობის პრეზიდიუმი.

საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი კონფერენცია*)

ამხ. დევდარიანისა და ცინცაძის მოხსენება.

6 დეკემბერს დილის სხდომაზე გაკეთებულ იქნა ორი მოხსენება: 1) ბავშვთა მოძრაობაზე, ამხ. დევდარიანის და 2) ახალგაზრდათა ფიზიკურ აღზრდასა და წვევამდელთა მომზადებაზე ამხ. ცინცაძის.

ამხ. დევდარიანი აღნიშნავს, რომ ბავშვთა მოძრაობის საქმე და საერთოდ ბავშვთა აღზრდის კითხვა ძლიერ მწვავეთ დგას. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია მოზარდი თაობის მუშურ ნაწილზე. დღეს ბავშვი უმოწყალოთ გამოყრილია ქუჩაზე. ის ხდება მსხვერპლი გარყვნილების, კაპიტალისტური ქუჩის წესების, როგორც სპეკულიაციის, მათხოვრობის და მორალური დეგრადაციის. ქუჩის ბავშვთა რაოდენობა გროვდება, ბავშვთა თავშესაფარნი, და ბაღები სამეურნეო ანგარიშიანობის გამო მცირდება და ამავე დროს არის მრავალი შემთხვევები ბავშვთა თვით ორგანიზაციისა, რომელსაც თუ დროზე არ მიეცა ხელმძღვანელობა მოწინააღმდეგე ძალები დაესაკუთრებიან მას. ამავე დროს ქალაქის ახალგაზრდობის, ბავშვთა საგრძნობი ნაწილი იყო გაერთიანებული სხვა და სხვა სპორტულ საზოგადოებებში, როგორც მაგ. „შევარდენში" „სკაუტში" და „სოკოლში", სადაც იქმნებოდა ბავშვის ტიპი, სავსებით გაჟღენთილი შოვინიზმით და ანტისაბჭოთა სულის კვეთებით. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ქუჩის ბავშვებთა რაცხვი უნდა შემცირდეს ბავშვთა თავშესაფრების, სახლების და ბაღების მტკიცე ნიადაგზე დაყენებით. მათში უნდა იწარმოოს კომუნისტური კავშირის მიერ კომუნისტური აღზრდელობითი მუშაობამ, ბავშვთა იმ მასსას, რომელიც თავმოყრილია ამ სახლებში და ბაღებში, ვერ უნდა დაეპატრონონ ანტი-კომუნისტური „მოღვაწეები".

ახალთაობის აღზრდის გაჯანსაღების მიზნით დაშლილ იქნა კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები და მოეწყო სასპორტო ორგანიზაცია „სპარტაკი".

მისი წესდება იქნება კონფერენციის მიერ უცვლელად დამტკიცებული.

მოხსენებამ ახალგაზრდობის ფიზიკურათ აღზრდის და წვევამდელთა მომზადების შესახებ, გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებული იქნა თეზისები წარმოდგენილი საყოველთაო სამხედრო სწავლების განყოფილების მიერ. კონფერენციამ გამოარკვია ის სუსტი პოლიტიკური მუშაობა, რომელიც სწარმოებს წვევამდელთა შორის. საყოველთაო სამხედრო სწავლებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მუდმივი არმიის გაუქმების ნიშანს და ხალხის საყოველთაო შეიარაღების, მილიციურ არმიის შემოღებას. წვევამდელთა უმრავლესობას შეადგენს მუშური და განსაკუთრებით გლეხური ახალგაზრდობა. საჭიროა მათში გაძლიერებული პოლიტიკური მუშაობის წარმოება. კავშირის ერთ-ერთ საზრუნავ საგნათ უნდა დაისვას წვევამდელთა შორის კომუნისტური აგიტაცია, საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც მშრომელთა ხელისუფლების და მისი დაცვის აუცილებლობის შესახებ.

ამხ. გოგეშვილის მოხსენება.

კავშირის ორგანიზაციულ აღმშენებლობის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. გოგეშვილმა. მომხსენებელმა თავისი მოხსენება დაჰყო შემდეგ ნაწილებათ: 1) კავშირის ახალი კურსის (რაიკომების გაუქმების) შედეგები და თემკომები; 2) რაიკომების დატოვება სამრეწველო და ნახევრათ სამრეწველო რაიონებში; 3) კავშირის პროლეტარული ნაწილის გამაგრება; 4) კავშირის იაჩეიკებისთვის მუშური სახის მიცემა; 5) კავშირის დღევანდელი აპარატი; 6) დამოკიდებულება კომპარტიასთან; 7) აქტიურ მომუშავეთა შესახებ; 8) ინსტრუქტორთა პერიოდული თათბირების მოწვევა სამაზრო მასშტაბით; 9) რაიკომების მუშაობა და ცეკას დირექტივების გატარება; 10) ახალი წევრების მიღება და წესდება; 11) უპარტიო ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ; 12) კავშირის საბჭოთა მუშაობა (საბჭოთა მეურნეობა, კოოპერაცია და სხ.); 13) ახალგაზრდა ქალებს შორის მუშაობა; 14) აღრიცხვის, ინფორმაციის და სტატისტიკის მოწესრიგება; 15) კავშირის გამომცემლობა.

ზემოხსენებულ კითხვების გაშუქების შემდეგ მომხსენებლის მიერ წამოყენებული თეზისები ცოტა ცვლილებით მიღებულ იქნა.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 281.

შეფობის მიღება წითელ ფლოტზე

საზეიმო სხდომა.

6 დეკემბერს საღამოს მოხდა საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მიერ შეფობის მიღება კასპიის წითელ ფლოტზე. საღამოს 7 საათია... არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზი სავსეა ახალგ. კომკავშირისა და კომპარტიის წევრებით და კონფერენციის დელეგატებით. საკონცერტო დარბაზის პატარა სცენა გალამაზებულია დროშებით. ყოველისფერს საზეიმო ელფერი ატყვია.

ამხ. დევდარიანის სიტყვა.

სრულ 7 საათზე საზეიმო სხდომას ხსნის ა. კ. კ. ცეკას მდივანი ამხ. **დევდარიანი.** „ამხანაგებო, 16 ოქტომბერს რ. ა. კ. კ. მე-V-ე ყრილობამ დაადგინა მიიღოს შეფობა რესპუბლიკის წითელ ფლოტზე", იწყებს ის თავის სიტყვას. „წითელ ფლოტს უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკისათვის. საბჭოთა მთავრობამ ამ მშვიდობიან განვითარების პერიოდში უნდა გაამაგროს როგორც ხმელეთის ისე უფრო მეტათ საზღვაო სამხედრო ძალა, რათა უზრუნველყოს თავისი თავი იმპერიალისტურ სახელმწიფოების თავდასხმისაგან. შეფობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ გავაბამთ განუწყვეტელ კავშირს იმ ახალგაზრდობასთან, რომელიც თავმოყრილია დღეს წითელ ფლოტში. წითელ ფლოტს, ეჭვს გარეშეა, ჩვენ ვერ მივსცემთ ისეთ მატერიალურ დახმარებას, რომ მას მხოლოთ ჩვენი იმედი ჰქონდეს, ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ მას ისე, როგორც საერთოდ აკმაყოფილებენ სამეურნეო ორგანოები შეფობაზე აყვანილ ნაწილებს წითელი არმიისას. ჩვენი დახმარება მხოლოდ ნაწილობრივ იქნება ასეთი. უმთავრესად კი ჩვენი დახმარება სულ სხვა გვარის და მნიშვნელობის არის. ეს არის კომუნისტური აღზრდა ახალგაზრდათა იმ მასსის, რომელიც წითელ ფლოტშია, რომელიც მოცილებულია თავის ქურას, გუთანს და სხვას.

გაუმარჯოს კასპიის სახელოვან წითელ ფლოტს და მის შეფს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს.

ამხ. ჩაპლინის სიტყვა.

რ. ა. კომუნისტურ კავშირის ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ილაპარაკა ამხ. ჩაპლინმა.

ის ესალმება დღესასწაულს და აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა და აქვს დღეს წითელ ფლოტს „სამოქალაქო ომის დროს ჩვენ შევქმენით ისეთი ძლიერი წითელი არმია, რომ დავამარცხეთ საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მტრები. დღეს, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ წითელი არმია რიცხობრივად მცირდება. ამ დროს იჭრება კითხვა რესპუბლიკის წითელი ფლოტის გამაგრების შესახებ. ჯერ კიდევ საბჭოების მე-9-ე ყრილობამ მოითხოვა წითელი ფლოტის ძლიერი ორგანიზაციის შექმნა. კასპიის წითელ ფლოტს, რომლის შეფათ დღეს ჩვენ ვხდებით, აქვს ის მნიშვნელობა, რომ ის იცავს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ საზღვრებს და საბჭოთა ფედერაციის შავ სისხლის აუზს, ბაქოს, ყოველგვარ მტრებისაგან. გავიხსენოთ 1920 წელი, როდესაც სუსტმა, მაგრამ ძლიერმა თავისი რევოლიუციონური სულისკვეთებით ამ ფლოტმა დაამარცხა ინგლისის ძლიერი ფლოტი ენზელთან და ამით ააშორა ბაქოს მოსალოდნელი საფრთხე ინგლისის მტაცებლებისა. გახსოვდეთ, რომ წითელი ფლოტი მოელის თქვენგან დახმარებას, თქვენ ცოცხალ ძალას, ის მოელის თქვენგან წითელ აღმზრდელებს. წითელი ფლოტის შეფათ ხდებით არა მარტო თქვენ, არამედ საბჭოთა ფედერაციის მთელი ახალგაზრდა პროლეტარიატი. ჩვენ აღვზრდით წითელ მეზღვაურებს, ჩვენ მივაწოდებთ მათ გარდა უმნიშვნელო მატერიალურ დახმარების, მნიშვნელოვან რაოდენობას წიგნებისას და ერთი სიტყვით უზრუნველყოფთ მას სულიერი საზრდოთი.

ვინ იყო პირველი ვინც დასცა ჯალათური თვითმპყრობელობა?—ეს იყო წითელი ფლოტი, ისინი იყვნენ ბალტიის მეზღვაურნი.

ვინ იყო პირველი, ვინც გაილაშქრა გამყიდველ კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ?—ეს იყო წითელი ფლოტი.

ვინ გაუწია ყველგან, სამოქალაქო ომის დროს, საბჭოთა რესპუბლიკის მტრებს წინააღმდეგობა?—ეს იყო კიდევ ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტი... როდესაც ჩვენ მივიღეთ შეფობა რესპუბლიკის წითელ ფლოტზე, უზარმაზარ საოკეანო გემს „ოკეანეს" დაერქვა „კომსომოლი". ჩვენ გვრწამს, რომ ის ახალი ძალები, რომლებსაც ჩვენ მივსცემთ წითელ ფლოტს გაამართლებენ ამ სახელწოდებას და მას ყველგან სახელს მოუხვეჭენ.

ამხ. ჩეგრუკოვის სიტყვა.

კასპიის წითელი სამხედრო ფლოტის სახელით ილაპარაკა ამხ. ჩეგრუკოვმა.

„ნება მომეცით გადმოგცეთ მხურვალე სალამი სახელოვან შეფს, კასპიის სამხედრო ფლოტისას.

ძალა-უფლების დაპყრობის საკითხი რუსეთში და დასავლეთში

(ამხ. ტროცკის მოხსენება კომინტერნის კონგრესზე).

(გაგრძელება*)

ბურჟუაზია ვერ ბედავს ჩვენთან მოსვლას.

ერთი სიტყვით, მთელი მსოფლიო სიტუაცია ყალიბდება ამ ჟამად კაპიტალიზმის მდგომარეობის მერყევ ავტორთა ზეგავლენის ქვეშ, კაპიტალიზმის, რომელშიაც იმდენი წინააღმდეგობა იჩენს თავს, რომ ბურჟუაზია ამ ჟამად სრულიად არ არის დარწმუნებული, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე, თუ როგორი საერთაშორისო კომბინაციები მოეწყობა. ინგლისი და საფრანგეთი ხან თითქოს სცდილობენ ანტანტის აღდგენას, ხან იარაღით ელარუნით ელაპარაკებიან ერთმანეთს. უკანასკნელ თავის სიტყვაში კერზონი მსოფლიო მდგომარეობას ისეთი უნუგეშო სიტყვებით ახასიათებს, რომ ეს მზადავარ სიტყვები შეგვეტანა კომუნისტურ ინტერნაციონალის რეზოლიუციაში თეზისების სახით, მსოფლიო მდგომარეობის დასახასიათებლად. ასეთ მდგომარეობაში კაპიტალიზმი ვერ ბედავს ჩვენთან მოსვლას. ომის წინ, მრავალ ათეულ წლეების განმავლობაში, კაპიტალიზმს ჰქონდა ისეთი პერსპექტივა, რომელიც ათეულ წლებზე ვრცელდებოდა. გერმანიის პოლიტიკა აღმოსავლეთში, ბაღდადის რკინის გზა და სხვა—ყველაფერი ეს ათეულ წელიწადების კვალობაზე იყო გამოანგარიშებული.

ეხლანდელ კაპიტალიზმს და მის მთავრობებს ორი წლის ვარაუდის დაჭერაც არ შეუძლიათ არა თუ ათეული წლებისა. იმისათვის, რომ სერიოზული საქმე დაიჭირონ რუსეთთან, რომ იგი ეკონომიურად დაიპყრონ, ამისათვის საჭიროა წინასწარ გამომუშავებული გეგმა, ათეულ წლებზე ნავარაუდევი. ბურჟუაზია ჯერ ჯერობით ერთ ადგილას გაიყინა და ხასაცილოა სამინისტროებზე ლაპარაკი, რომ უცხოეთის კაპიტალი დაგვიპყრობს ჩვენ, მთელი ჩვენი სოციალისტური შეგნებულებით. ასეთი საფრთხე არ არსებობს, ვინაიდან თვალით არა ჩანს ეს კაპიტალი.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი.

მაშასადამე, რა გვაქვს ჩვენ, მუშათა სახელმწიფოს? ჩვენ გვაქვს ამხანაგ ლენინის მიერ წოდებული ბრჭყალებში „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი". ეს ის ტერმინია, რომელსაც ხმარობდნენ სხვები უფრო თავისუფლად, ნაკლებ კრიტიკულად და ფრთხილად. ევროპაში კი იგი შემცდარი აზრით იყო გაგებული. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობა არის რაღაც სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი. ეს რა თქმა უნდა ასე არ არის. ეს არ არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ე. ი. „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი", მაგრამ ისეთი დიდ ბრჭყალებში, რომ ეს უკანასკნელი უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე თვით ტერმინი.

რატომ? როგორია ამ ტერმინის ისტორია? ეს ტერმინი სოციალისტური ჩამომავლობისაა. ჟორესი და საფრანგეთის რეფორმისტები ლაპარაკობენ დემოკრატიულ რესპუბლიკის თანდათანობით სოციალიზაციის შესახებ. არის ისეთი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ახდენს საწარმოო საშუალებათა სოციალიზაციას. ამაზე ჩვენ, მარქსისტები უპასუხებდით, რომ ეს მართალი არ არის. სანამ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, ეს სოციალიზაცია—სოციალიზაცია კი არა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ნაციონალიზაციაა და იგი მიგვიყვანს არა სოციალიზმამდე, არამედ მხოლოდ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური საკუთრება კაპიტალისტებისა, ფაბრიკებში, რკინის გზებზე და სხვაგან, შეცვლილი იქნება ბურჟუაზიულ ფორმების კოლექტიურ საკუთრებათ წარმოებათა, რკინის გზების და სხვ

რამდენადაც ხელისუფლების სათავეში იდგომება ბურჟუაზია, იმდენად იგი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის საშუალებით დაიმონავებს პროლეტარიატს, ისე როგორც ცალკე ბურჟუა, ინდივიდუალურ წარმოების საშუალებით ჩადის ამას. ამ გვარად „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის" ტერმინი წამოყენებულ იქნა, ყოველ შემთხვევაში, პოლემიკაში იყო ნახმარი რევოლიუციონური მარქსიზმის მიერ რეფორმისტების, დემოკრატიულ იდეოლოგების წინააღმდეგ, იმ მიზნით, რათა დაგვემტკიცებინა, რომ ნამდვილი სოციალიზაცია დაიწყება მხოლოდ მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. რეფორმისტები ხაზს უსვამდენ რეფორმებს. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს უარი რეფორმებზე. ჩვენ ვამბობდით, რომ სოციალისტურ რეფორმების ხანა დაიწყება პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. ამაში იყო უთანხმოება. ეხლა რუსეთში ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია. მრეწველობა კი მუშათა სახელმწიფოს ხელში. ეს მრეწველობა არ არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენ ვუწოდებდით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზს. მაშ რა აზრით? ამხ. ლენინი ხმარობს მას პირობითი და განსაზღვრული აზრით. და საჭიროა ამას სამჯერ, ოთხჯერ გაესვას ხაზი, რომ ეს მრეწველობა მუშათა სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ თავის განვითარებისათვის იგი ხმარობს ბაზრის მეთოდებს, რომელიც შეიმუშავა კაპიტალისტურმა მეურნეობამ. ამ მეთოდებს ჩვენ უწოდებდით ანარქიულ, ბაზრის კონკურენციის და სხვ. მეთოდებს. სოციალისტურ მეთოდებზე, ე. ი. ცენტრალისტურ აღრიცხვაზე გადასვლა ერთბაშად არ შეიძლება საკუთარ თავის ზევით ახტომის საშუალებით, თუ ეს თავი მაინც დაუვარცხნელია, ისე როგორიც არის ჩვენი რუსეთის თავი, საწყენად რომ არა ვსთქვა საჭიროა სწავლა და სწავლა.

აღრიცხვა წინად და ეხლა.

უნდა თანდათან დაეუხლოვდეთ სინტეტიურ მეთოდებს იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც გამოიმუშავა ბურჟუაზიამ. როგორია ეს მეთოდები? კალკულიაცია, კომერციული სარგებლიანობა. სამხედრო კომუნიზმის ხანაში, ყველაფერს თვით სახელმწიფო ანაწილებდა, ულუფებათ იძლეოდა სურსათს, მუშებს უნდა ეუზრუნათ. ინდივიდუალურ შრომის და ამა თუ იმ ფაბრიკის შრომის ნაყოფიერებაზე არავითარი კონტროლი არ იყო დაწესებული, არ იყო აგრეთვე არავითარი აღრიცხვა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ხვალ, ზეგ, მაზეგ, სადამდისაც ჩვენ, ასე ვსთქვათ, უნდა ფოფხვით მივსულიყავით, გვინდოდა ამ მეთოდების უხეშ ფორმების სახით გამოყენება გაწმენდილ მეთოდების ნაცვლად.

აქედან წარმოიშვა ჩვენი შეცდომები.

რა გვაქვს ჩვენ? ჩვენ გვაქვს საბჭოთა მრეწველობა, მუშათა სახელმწიფოს მრეწველობა, რომელიც თავისი თავისათვის კონტროლის გასაწევად, გაცვლა-გამოცვლისათვის, იმისათვის, რომ მოიპოვოს ის რაც მის თავის საჭიროა, ხმარობს კაპიტალისტურ მეთოდებს. მათი ხმარება შეიძლება ბაზრის აღდგენის შემდეგ. ეს ბაზარი დაკავშირებულია მრეწველობასთან, სასოფლო მეურნეობასთან, ხოლო მრეწველობის სხვადასხვა დარგებში დაკავშირებული არიან ერთმანერთთან. ამ ბაზარზე ჩვენ ვებრძვით ბურჟუაზიას, რომელიც წარმოიშვა, განიცდის აღორძინებას და იზრდება. ვის ეკუთვნის უპირატესობა? რა თქმა უნდა ჩვენ.

სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის, მისი ძალა უფლების პირობებში, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ზრდა მოასწავებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს გაძლიერებას, მის მიერ მუშათა კლასის დაჩაგვრას. ჩვენში სახელმწიფოებრივ საბჭოთა მრეწველობის ზრდა მოასწავებს თვით სოციალიზმის ზრდას.

სოციალიზმის ჩანასახი.

ეს სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი არის სოციალიზმის ჩანასახი, რომელიც თავისი განვითარებისათვის სარგებლობს კაპიტალისტური მეთოდებით. მაგ. როდესაც იწყო განვითარება საფაბრიკო მრეწველობამ, არა მარტო ცარიზმის დროს, არამედ ბატონყმობის დროსაც, პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული ქარხნები და ფაბრიკები ეწყობოდენ ბატონყმობის საფუძველზე, ე. ი. მათზე ეწერებოდენ გლეხები და ეს ქარხნები ატარებდნენ პოსესიური ქარხნების სახელწოდებას, ხოლო მომავალი კაპიტალისტები: სტროგანოვები, დემიდოვები და სხვ. როგორც ამ წარმოებათა მესაკუთრეები, ანვითარებდენ მომავალ კაპიტალიზმს ბატონყმობის საფუძვლებზე. ამნაირათვე ჩვენში სოციალიზმი დგამს პირველ ნაბიჯებს კაპიტალისტურ საფუძვლებზე.

რევოლიუციის ხარჯები.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება წამოყენებულ იქნეს,—ეს არის საკითხი მეურნეობის ნაყოფიერების, არა მარტო ინდივიდუალურ შრომის ნაყოფიერების, არამედ მთელი მეურნეობის ნაყოფიერების შესახებ. კაპიტალიზმმა დაამარცხა სოციალიზმი იმის გამო, რომ კაპიტალიზმის პირობებში კერძო შრომა უფრო ნაყოფიერი იყო, სოციალიზმი კი გაიმარჯვებს საბოლოვოდ მაშინ, როდესაც შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იქნება, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. დღეს არის თუ არა ეს? არა. ამერიკელები ჩვენზე უკეთ მუშაობენ კაპიტალიზმის პირობებში, ფრანგებიც და გერმანელებიც ჩვენზე უკეთესად მუშაობენ. ეს არგუმენტი თითქოს სერიოზულია. გენუაში საფრანგეთის წარმომადგენელმა კოლრამ, როდესაც ჩიჩერინმა და ლიტვინოვმა დაიწყეს ლაპარაკი სამეურნეო საკითხზე, სთქვა, რომ მათ არ შეუძლიათ ილაპარაკონ საერთოთ ამ საკითხზე, იმიტომ რომ აი სანამდე მიიყვანეთ თქვენ რუსეთი. შეადარეთ თქვენი მეურნეობა ჩვენსას. ეს არგუმენტი ერთის შეხედვით, მართლაც ძალიან ძლევამოსილია, მაგრამ ნამდვილად კი იგი სრულიად უმწეო არგუმენტია. რა თქმა უნდა ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ არა თეორიულ არგუმენტებით, არამედ მატერიალურით შეგვეძლებოდა ამ არგუმენტის გაბათილება ე. ი. გვეჩვენებია, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები და ჩვენი მეურნეობა იძლევა მეტ ნაყოფიერებას ცენტრალიზაციურ სოციალისტურ ორგანიზაციის, კონკურენციის უქონლობის და სხვ წყალობით, მაგრამ ეს ჩვენ არა გვაქვს და ამის მიღწევა არც ისე ჩქარა შეიძლება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ისტორიული და მასთან საკმაოდ დამაჯერებელი საბუთიც: იგი მდგომარეობს იმაში, რომ თვით კაპიტალისტური საზოგადოება, საფრანგეთში, მდიდარი საზოგადოება, რომელსაც თავი მოაქვს სიმდიდრით, წარმოიშვა რევოლიუციისაგან, საფრანგეთის დიდი რევოლიუციისაგან.

ამოცანა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ შექმნილიყო პირობები შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის, ეს ამოცანა მიღწეულ იქნა კაპიტალიზმის მიერ. ჩვენ ამას ვხედავთ მდიდარ, კულტურიან საფრანგეთში. მოვიყვანოთ დამამტკიცებელი საბუთებით, ჟორესის რევოლიუციის ისტორია და ჩვენ გვექნება შემდეგი ფაქტები, რომ საფრანგეთის სიღატაკე გაძლიერდა ჯერ კიდევ 9-ე თერმიდორის შემდეგ, რევოლიუციის 5 წლის თავზე. საფრანგეთის რევოლიუციის მეათე წლის თავზე, როდესაც ნაპოლეონ ბონაპარტე იყო უკვე პირველი კონსული, პარიზს ეძლეოდა დღეში 300 500 ტომარა ფქვილი, მაშინ როდესაც მას არსებობისათვის სულ მცირე 1.500 ტომარა ესაჭიროებოდა. პარიზმა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 10 წლის თავზე მიიღო მინიმალურ ნორმის ერთი მეხუთედიდან ერთ მესამედამდე და ნაპოლეონი ყოველ დღე თვალყურს ადევნებდა შემოტანილ ტომრების რაოდენობას.

ეს იყო 10 წლის თავზე საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დაწყების დღიდან.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლიუცია მეტად სასტიკი და მომჭირნეობას მოკლებული საშუალებაა საკითხის გადასაწყვეტად. რევოლიუცია გზას უხსნის ახალ პოლიტიკურ წესწყობილებას, მაგრამ იგი აღწევს ამ მიზანს კატასტროფის საშუალებით, ჩვენში კი ამას ომიც ზედ დაერთო. ჩვენ ვიმყოფებით არა მეათე წელიწადში, არამედ ჩვენი რევოლიუციის 6-ე წლის დასაწყისში, და ჩვენი რევოლიუცია უფრო ღრმა არის საფრანგეთის დიდ რევოლიუციაზე, რომელმაც მხოლოდ შესცვალა ფეოდალური საკუთრება, ე. ი. ექსპლოატაციის ერთი ფორმა, ექსპლოატაციის მეორე ფორმად. ჩვენ კი ვცვლით საზოგადოებას, რომელიც აშენებულია ექსპლოატაციაზე, საზოგადოებით, რომელიც აშენებულია სოლიდარობაზე. რევოლიუციის ხარჯები ძალიან დიდია, და რაც ამ ჟამად გვაქვს, ეს არის რევოლიუციის ხარჯები. ფრანგულად არის ტერმინი „ფო ფრე" ე. ი. ყალბი ხარჯები, რომელიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული. და იგივე კოლრა, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე აღიარებს, რომ საფრანგეთის რევოლიუცია იყო შემოქმედებითი აქტი, მაგრამ მისი შემოქმედება გამოაშკარავდა მხოლოდ ათი წლების შემდეგ მატერიალურ კულტურის განვითარების სახით.

სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა.

ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ მოწინააღმდეგებისაგან სულ მცირე 10 წელიწადს, რომ დავანახოთ, რომ მეათე წლის თავზე ჩვენ გვექნება მატერიალურ ძალების დამამტკიცებელი ფაქტები. ჯერ ჯერობით კი ჩვენში ისეთი მდგომარეობა არსებობს, როდესაც სასოფლო მეურნეობაში უკანასკნელი წლის მოსავალი უდრის მშვიდობიანობის დროის მოსავლის სამ მეოთხედს. მრეწველობაში კი ჩვენ გვაქვს ომამდე არსებულ პროდუქციის ერთი მეოთხედი. აქედან ჩვენი მოწინააღმდეგე კრიტიკოსებს აგრეთვე გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ ეს გარემოება დაცემით ემუქრება საბჭოთა რეჟიმსო. რატომ? აი რატომ

სასოფლო მეურნეობის ფრონტზე

შემოდგომის თესვის კომპანიის მიმდინარეობა აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში.

შემოდგომის თესვის კამპანია აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში საერთოდ კარგათ მიმდინარეობს. გლეხთა მოთხოვნილება სათესლე მასალის მხრივ, თბილისის, ახალციხის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, გორის და დუშეთის მაზრებში დაკმაყოფილებულია 100 პროც. ბორჩალოს მაზრაში—100 პროც., ხოლო თრიალეთის რაიონში მოთხოვნილება სათესლე მასალის მხრივ დაკმაყოფილებულია მხოლოდ 70—80 პროც. სამხრეთ ოსეთში—70—80 პროც. ახალციხის მაზრაში, სადაც სეტყვამ დაზიანა 7.000 დესეტინა ნათესი, ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო სათესლე მასალაზე, რომელიც დაკმაყოფილებულია მხოლოდ 80 პროც. ვინაიდან მხოლოდ სამაზრო თესვის კომისიას მოუხდა ზრუნვა მაზრისათვის სათესლე მასალის მიწოდებისათვის და არც ერთ დაწესებულებას და ორგანიზაციას ამ საქმეში კომისიისათვის დახმარება არ გაუწევია; პირიქით, ალმასკომის თავმჯდომარემ ერთი თვით დააგვიანა სათესლე მასალის სესხის აკრება, ნება დართო რა აკრება ეწარმოებინათ პირველი ოქტომბრიდან, იმ დროს როდესაც მთელი სექტემბრის თვის განმავლობაში მაზრაში ინტენსიური თესვა სწარმოებს.

დასავლეთ საქართველოში თესვის კამპანია გატარებულია ნაწილობრივ რაჭის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

სათესლე სესხის აკრება.

1921—22 წლებში მცხოვრებთათვის სესხის სახით დარიგებულ სათესლე მასალიდან, (ხორბალი, ქერი და ჭვავი) შეკრებულია:

ახალქალაქის მაზრაში—93 პროც. ტფილისის მაზრაში—90 პროც. ბორჩალოს მაზრაში—85 პროც., თელავის მაზრაში—85 პროც., თიანეთის მაზრაში—85 პროც., ქუთაისის მაზრაში—82 პროც., გორის მაზრაში—80 პროც., ახალ-ციხის მაზრაში—75 პროც., სამხრეთ ოსეთის მაზრაში—70 პროც., სიღნაღის მაზრაში—65 პროც, აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების ბევრმა თემებმა დააბრუნეს სესხის მთელი 100 პროც.

პირველ დეკემბრიდან დაიწყო სიმინდის აკრეფა. მრავალ მაზრებში აკრეფილია სიმინდის სესხის 15—20 პროც.

დასავლეთ საქართველოს მაზრებში სიმინდის აკრეფა დაიწყო ამა წლის 1 დეკემბრიდან და ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად კარგად მიმდინარეობს.

რ. ა. კ. კ. მიერ რესპუბლიკის ფლოტზე შეფობის მიღება—ეს დიდი ისტორიული ფაქტია, ის დაუფასებელია.

კასპიის ფლოტი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ცნობას. კასპიის ფლოტს უჭირავს მესამე ადგილი რესპუბლიკის მთელ სამხედრო ფლოტში. კასპიის ფლოტმა დიდი მსხვერპლი გაიღო პროლეტარული რევოლიუციის დასაცავათ. როდესაც რესპუბლიკის ხმელეთზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლება, მაშინ კასპიის ფლოტი მთელი თავისი შემადგენლობით იქ გადაშურა და გვერდში ამოუდგა წითელ არმიას. წითელი ფლოტის მნიშვნელობა გაითვალისწინა რესპუბლიკის უმაღლესმა ორგანოებმა და დიდი ყურადღებით გვყრობა კიდეც. ყურადღებას არც თქვენ გვაკლებთ. ამისთვის ნება მომეცით უდიდესი მადლობა მოგიძღვნეთ, როგორც ძველ მეზღვაურთაგან, აგრეთვე იმ თქვენი ახალგაზრდებისაგან, რომლებიც ჩვენ გამოგვიგზავნეთ და რომლებიც გადიან დღეს მკაცრ საზღვაო-სამხედრო სწავლას.

მე თქვენი სახელით გადავცემ ასეთივე მხურვალე სალამს წითელ მეზღვაურებს.

კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური განყოფილების სახელით ლაპარაკობს ამხ. ხლოპონოვი. ამ დროს ჩნდება ამხ. ეგოროვი. მისი გამოჩენა იწვევს ხანგრძლივ ტაშს და ოვაციებს. გაისმის „გაუმარჯოს კავკასიის ცალკე არმიის მეთაურს ამხ. ეგოროვს.

ამხ. ეგოროვის სიტყვა.

ძვირფასო ამხანაგებო! თუ ჩვენ განვიხილავთ საბჭოთა რესპუბლიკის 5 წლის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ რევოლიუციონური ახალგაზრდობა, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირში გაერთიანებული იძლეოდა იმ მორალურ სიმტკიცეს, რომელიც ასე ესაჭიროებოდა წითელ არმიას. რევოლიუციონური ახალგაზრდობა ყოველთვის ეხმაურებოდა დაძახილს, ის ყოველთვის მზად იყო. ახალგაზრდა მებრძოლთა ყველა სახელები ჩაწერილია გმირული ბრძოლის ისტორიაში.

გასაჭირ წუთებში რევოლიუციონური ახალგაზრდობა, თავისი რევოლიუციონური მოვალეობის ასრულებისთვის მზათ მყოფი უდიდეს დახმარებას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მებრძოლ წითელ მეომრებს.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა, რევოლიუციის საუკეთესო ბელადის, ამხ. ლენინის, თქმით ისეთი მაგარი, მტკიცე და შეურყეველია, როგორც არასოდეს.

საბჭოთა რესპუბლიკის შეურაცყოფის უფლებას ჩვენ არავის არ მივსცემთ, ეს დავამტკიცეთ გენუაში და უფრო ნათლად დავამტკიცებთ ლოზანაში.

საბჭოთა რესპუბლიკის მტრები იმედოვნებენ, რომ ვითომდა საბჭოთა ხელისუფლება მშვიდობიანი ევოლიუციის გზით, წმინდა კაპიტალისტურ სახეობას მიიღებს და ვითომდა ამგვარათ მოეღება მას ბოლო.

ეს არის ჩვენი მტრების მცონარე ილიუზია.

ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს. მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ ყოველივეს და რესპუბლიკის როგორც ხმელეთის ისე ზღვის საზღვრებს ვამაგრებთ. წითელი ფლოტი დღეს დიდი მნიშვნელობის საგანია. მასზე ზრუნვა განიზრახეთ თქვენც.

მე მოგესალმებით თქვენ, როგორც მთლიან ოჯახს, წითელ არმიასთან და წითელ ფლოტთან ერთად. გააძლიერეთ თქვენი მორალური მფარველობა წითელ ფლოტზე და მჭიდროთ დაუკავშირდით მას.

ილაპარაკა აგრეთვე რ. კ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. მიასნიკოვმა და საკავშირო საბჭოს სახელით ამხ. ელიავამ.

გლეხმა მიიღო მშვიდობიან დროის პროდუქციის სამი მეოთხედი, მაშასადამე, საბჭოთა მთავრობა ვერ გაუძლებს გლეხობას. მრეწველობას ჩვენში აქვს წარსული პროდუქციის მხოლოდ ერთი მეოთხედი, სამი მეოთხედი უფრო ძლიერია ერთ მეოთხედზე და ამიტომ სასოფლო მეურნეობის საფუძველზე განვითარდება კერძო კაპიტალი და ჩვენ დაგვამარცხებსო, მაგრამ ეს მოსაზრებაც ყალბია. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მიმდინარე წლის მოსავალი უდრის ომამდე არსებულ მოსავლის სამ მეოთხედს, ხოლო მრეწველობის პროდუქცია ერთი მეოთხედს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გლეხს ყველაფერი ხომ ბაზარზე არ გამოაქვს, გამოაქვს მხოლოდ თავისი ნაწარმოების მცირე ნაწილი. ის მუშაობს, უმთავრესად, საკუთარი მოხმარებისათვის. მაშასადამე რაც მას ბაზარზე გამოაქვს, ის იძლევა ნიადაგს სავაჭრო კაპიტალის შექმნისათვის, ხოლო ეს რაოდენობა ძალიან მცირეა, ვინაიდან სწორი გამოანგარიშებით იგი შეადგენს 100 მილიონ ფუთს. რატომ? იმიტომ რომ გლეხი ნატურალურ გადასახადის დიდ ნაწილს აძლევს სახელმწიფოს და მუშათა სახელმწიფო თავის მრეწველობის პროდუქტებს უმატებს იმას, რასაც მას გლეხი აძლევს ნატურალურ გადასახადის სახით. ეს რაოდენობა 200 მილიონ ფუთს აღემატება. ბაზარზე კი მას გამოაქვს 100 მილიონი ფუთი და რაც გამოაქვს, ისიც უმთავრესად ან კოოპერაციისათვის და ან სახელმწიფო დაწესებულებათათვის. კერძო კაპიტალს რჩება მხოლოდ 30 პროც. რასაც ამტკიცებს დაახლოვებითი სტატისტიკა. ასე რომ თქმა იმისა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის კაპიტულიაცია, რომელიც გადაგვარებით ემუქრება მთელ ჩვენ სამეურნეო ცხოვრებას, რეალური არ არის, იმიტომ რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ანგარიშს არ უწევენ უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, რომ ის მაკრატელი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გავკრიჭოთ ბურჟუაზია, მუშათა სახელმწიფოს ხელშია. საზღვრებიც და უცხოეთის კაპიტალის შემოსვლაც მუშათა მთავრობის ხელშია.

ჩვენი დათმობის ხასიათი.

ბურჟუაზია XIX საუკუნის განმავლობაში მუდამ დათმობის გზაზე ადგა წვრილ ბურჟუაზიისა და ნაწილობრივ გლეხობის, მუშათა კლასის ზედა ფენების მიმართ, დაუზოგავად ყვლეფავდა რა ამავე დროს მუშათა მასებს, მიდიოდა დათმობაზე საკანონმდებლო, საპარლამენტო, სოციალურ კანონმდებლობის, საარჩევნო უფლების საკითხებში, მაგრამ დღემდის შეინარჩუნა თავის ხელში მთელი ძალა-უფლება. ამიტომ იგი ზომავდა დათმობას, ამბობდა ამდენს ვსთმობ, ხოლო მეტს ვერ დავთმობო. მის ხელში იყო ბუხჰალტერია, იგი ანგარიშობდა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბალანსებს, თმობდა რა იმას, რაც არ ემუქრებოდა მის ბატონობას.

როდესაც ინგლისის პარლამენტში მიიღეს სამუშაო დღის შემცირება, მარქსი სწერდა თავის „კაპიტალში“: „ეს ახალი პრინციპის გამარჯვებაა, პროლეტარიატმა თავზე მოახვია ბურჟუაზიას თავისი ახალი პრინციპი“. რაში მდგომარეობს ეს ახალი პრინციპი? იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს თვით განაგოს თავისი არსებობა თუნდაც ნაწილობრივ. მაგრამ ახალ პრინციპის გამარჯვებიდან ინგლისში ბურჟუაზიის დამხობამდე ძალიან დიდმა დრომ განვლო. ბურჟუაზია ჯერ კიდევ დგას სახელმწიფოს სათავეში. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დახმარებას რომელსაც გაბატონებული კლასი ჩადის მეორე კლასისადმი, რამდენადაც ეს დათმობები მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, მაინც გაბატონებულ კლასის კეთილდღეობას შეადგენს. იგივეა ჩვენშიაც. ჩვენი კანონმდებლობის შემოღებით ჩვენ ბევრი დაუთმეთ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ ბაზარს, მაგრამ ამ დათმობას იძლევა, მხოლოდ და მხოლოდ მუშათა სახელმწიფო.

პარტიული ცხოვრება—

სამხრეთ-ოსეთი

(დეპეშა).

ამხ. ფ. მახარაძეს.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის 2-ე ლეგალური პარტიული კონფერენცია სულით და გულით მოგესალმებათ თქვენ, თავის წინამძღოლს და მასწავლებელს. კონფერენციის მონაწილენი დარწმუნებულნი არიან, რომ თქვენ გამოცდილ ხელმძღვანელობის ქვეშ სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია დაადგება განმტკიცების გზას და წარმატებით იმუშავებს, მენშევიკების მიერ განადგურებულ ქვეყნის აღსადგენად. ამხანაგური სალამი შენ, ძველ მებრძოლს.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ოზურგეთის მაზრა

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მუშაობა.

ოქტომბერში მთელი ყურადღება მიქცეული იყო კავშირის ორგანიზაციულ აპარატის გაჯანსაღებისაკენ, ვინაიდან სწარმოებდა სოფლებში მინდვრის მუშაობა და ამიტომ მთელი ახალგაზრდობა და მით უმეტეს კავშირის წევრები იმყოფებოდენ მინდვრებში და ძნელი იყო მათი ჩარევა კავშირის კულტურულ მუშაობაში. ამიტომ დაგზავნილი იქნენ მაზრიდან ამხანაგები მუშაობის გამოსაცოცხლებლად; იმ რაიონებში, სადაც მისუსტებული მუშაობა იყო, მაზრიდან დაგზავნილ ამხანაგებმა გამოაცოცხლეს ორგანიზაციები; აგრეთვე სუფსის და ნატანების რაიონებში იქნა მაზრკომის მიერ დანიშნული ასეთი ამხანაგები, რომელნიც ჯეროვანათ უძღვებიან ამ ორგანიზაციებს. ქალაქ ოზურგეთში გადადგმულია ნაბიჯი მარქსისტულ-მეცნიერული წრის დასაარსებლად. მოწვეულია ლექტორები, გამომუშავებულია გეგმა და პროგრამა. ამ წრეებში მეცადინეობას შეუდგებიან ამ დღეებში. განძრახულია ასეთი წრეები გაიხსნას აგრეთვე ჩოხატაურში და ლანჩხუთში. ოზურგეთის იაჩეიკებში მიმაგრებულია ამხანაგები, რომელნიც განსაზღვრულ პროგრამით ამეცადინებენ წევრებს, კვირაში ორჯელ სისტემატიურათ. აგრეთვე კვირაში ერთხელ არის დანიშნული ერთიანი დღე პარასკევი, როდესაც მთელი ქალაქ ოზურგეთის ორგანიზაცია ქალაქის და თემის მაშტაბით იკრიბება, კეთდება მოხსენებები მომენტზე და პრაქტიკულ მნიშვნელობის საკითხებზე. ამავე დღეს აქვს დანიშნული პარტიასაც ერთიანი პარტიული დღე, და, როცა იხურება კომკავშირის კრება, კავშირის წევრები უერთდებიან პარტიულ კრებას, სადაც იხსნება კავშირის და პარტიის გაერთიანებული კრება. განზრახულია ასეთი საკავშირო დღე შემოღებული იქმნას ყველა რაიონებში, რომლებიც გაადვილებს მუშაობას და შექმნის მტკიცე და ორგანიზაციულ აპარატს.

საყოველთაო სამხედრო სწავლების განყოფილებაში სწარმოებს იდეიური მუშაობა კვირაში ერთხელ. მათ უკეთებს კომკავშირის წარმომადგენელი მოხსენებას შესაფერ თემაზე. ოზურგეთის ა. კ. კ. მაზრკომმა ჩააბარა მაზრის საყოველთაო სამხედრო სწავლების განყოფილებას დროშა და მიიღო მისი მფარველობა. გამოშვებულია ა. კ. კ. მაზრკომის წერილ ცირკულიარი პარტიის გაწმენდის შესახებ, სადაც ყველა კავშირის წევრები აქტიური მონაწილეობას ღებულობენ პარტიის გაწმენდაში.

საერთოდ მუშაობა დამაკმაყოფილებელია; თუ იყო რამე დეფექტები ამის მიზეზები იყო მინდვრებში მუშაობა და წყალდიდობა გურიაში, რომელმაც შეასუსტა დამოკიდებულება სოფლის იაჩეიკებსა და მაზრკომის შორის.

ეკონომიური ცხოვრება

საქონლის შემოტანა თბილისში. ჩრდილოეთ-კავკასიიდან კერძო პირების სახელზე მოვიდა 8 960 ფუთი ფქვილი. ადგილობრივ სადგურებიდან 240 ფ. ფქვილი. ბათუმიდან საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის სახელზე 9000 ფუთი ფქვილი.

შაქრის ფხვნილი ბათუმიდან კერძო პირების სახელზე 1088 ფუთი და რეზინტ-ესტის სახელზე 812 ფუთი მანუფაქტურა და საგალანტერიო საქონელი 300 ფ., საპონი 168 ფ., ჩაი 20 ფ., ლამპის შუშები—191 ფ.—ყველაფერი ეს ბათუმიდან კერძო პირების სახელზე—ცემენტი—5000 ფ. ბათუმიდან ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების სახელზე.

მდგომარეობა თბილისის ბაზარზე. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობების თანახმად ადგილობრივ ხორბლეულის ფასი რამდენიმედ დამყარდა. ამერიკის ფქვილის მოთხოვნილება სუსტია—„ნელსონი“ ღირს—675—680 ათასი ფ. ყუბანის ფქვილის მოთხოვნილება დიდია, მაგრამ დიდი პარტიებზე მოთხოვნილება სუსტია, მოელიან ფასების შემცირებას. რამდენიმედ დაეცა შაქრის-რაფინადის ფასი. მტკიცეა შაქრის ფხვნილის ფასი. მოთხოვნილება ინტენსიურია. ტყავეულობის მთავარმა განყოფილებამ ყველა საქონელზე ფასები აწია.

ტყავეულობის ფასები მაღალია მოთხოვნილება სუსტია. მაღალმა ფასებმა გავლენა მოახდინა მოთხოვნილებაზე, რომელიც ამას წინად ძალიან გაცხოველებული იყო. მანუფაქტურის ფასები უცვლელია. ადგილობრივ ბაზარზე ვაჭართა წრეები თავს იკავებენ საბაჟოდან საქონლის ყიდვაზე. დღეს შემდეგი ფასებია: ყუბანის პირველი ხარისხის ფქვილი 380—420 მ. ამერიკული ფქვილი „ნელსონი“—675—680, ადგილობრივი 230—250, სიმინდის ფქვილი—140—150, ადგილობრივი ხორბალი — 175—185: ქერი—120—125, სიმინდი—100—110, შაქარი რაფინადი—ჰოლანდიური—ფუთი 3 ტომარ.—58000—58500, ფხვნილი — 1460—1470, სახარინი „სოსიფროსი“ კილო 7000, ნარმა—ნაჭერი—4100—4200, ჩითი საზღვარგარეთის—იარდი 48—60, შევიოტი ინგლისური 600—1200, შევიოტი უბრალო 200—500, სატინი—70—180, მადაპოლამი ნაჭერი 36 იარდიანი—2200, საპონი ტოლე ფუთი—1120—1150, მარსელის საპონი „მაშალი“ 50 კილო 40000—41 000, დანარჩენი მარკისა 50 კილ. 3900—4.400, მარმარილოს საპონი ფუთი—900—1200.

ტფილისის კომუნალური მეურნეობა

ტრამვაი.

1922 წლის იანვრიდან ტრამვაით მოგზაურთა რიცხვი ყოველ თვიურად თანდათან მატულობდა, ასე რომ იანვარში აღნიშნულია 736.732 კაცი, სექტემბერში კი 1.74.349 ესე იგი ამ 9 თვის განმავლობაში მგზავრთა რიცხვი გადიდებულ 59,5 პრ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში, თებერვლის და მარტის თვეებში, ტრამვაის ტვირთმზიდელობა ცოტათი იკლებს, რაც აიხსნება ტარიფის გადიდებით და ქართული ბონების კურსის დაცემით. შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანდათან მატულობს და ტრამვაის საერთო მდგომარეობაც უმჯობესდება.

ტრამვაის სალაროს საერთო შემოსავალი ამ 9 თვის განმავლობაში გამოიხატება 51.001.773.000 მან., გასავალი კი 42.214.822.000 მან. ამ თანხიდან პირად შემადგენლობაზე დახარჯულია 20.041.391.000 მან., რაიც შეადგენს მთელი ხარჯების 47,5 პროც.

წყალსადენი.

1922 წ. იანვრიდან სექტემბრამდე ავჭალის წყალსადენის დებეტი უდრის 339.789.335 ვედ. ამ რიცხვიდან ქ. ტფილისზე ნაანგარიშევია მარტო 192.047.737 ვედ. თუ ამას მივუმატებთ თვით ავჭალის წყალსადენიდან დახარჯულ 68.715.000 ვ. წყალს და იმასაც, რაც იხარჯება უფასო კრანებზე, მაშინ წყლის დაღვრა საერთოდ უდრის მთელი წყლის დებეტის 23,2 პროც. წყლის დაღვრა-დაქცევა უმთავრესად აიხსნება წყლის საზომების შეუსწორებლობით. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ტფილისი სხვა ქალაქებთან შედარებით, (თუნდა ავიღოთ მოსკოვი) გაცილებით უკეთეს პირობებშია. მაგალითად, მოსკოვში ტეხნიკური დაღვრა წყლისა უდრის მთელი წყლის დებეტის თითქმის 50 პროც, აქ კი მხოლოდ 23,2 პროც. ანგარიშებიდან სჩანს, რომ მთელი გაცემული წყლის ნახევარს ხმარობენ კერძო პირები, შემდეგ სამხედრო დაწესებულებანი და სხვა.

მთელი იმ დახარჯული წყალის რაოდენობა, რაც აღნიშნულია წყალსადენში, რომ ფულად იყოს განაღდებული, მაშინ წყალსადენს უნდა მიეღო 57 614.320.000 მ. ფაქტიურად კი მას მიუღია 16.256.126.000 მან. ამას კიდევ ისიც უნდა დაემატოს, რომ ფულის თავის დროზე აუღებლობის გამო, უფრო კი სამხედრო და სახელმწიფო დაწესებულებებისაგან, წყალსადენს არ შეუძლია დაფაროს თავისი ყველა ხარჯები და არ ძალუძს გააუმჯობესოს საერთოდ წყლის მოწოდების საქმე.

ელექტრონის სადგურების მმართველობა.

ელექტრონის სადგურის წარმოების ხაზი ბრუნდეთ მიმდინარეობს, გაცემული ენერგიის რაოდენობა ხან იწევს და ხან იკლებს. ეს აიხსნება ენერგიის მიცემის ხშირი შეწყვეტით იმ პირთათვის, რომელთაც თავის დროზე არ შეაქვთ ფული.

ფაქტიური შემოსავალი აღნიშნული სადგურისა იანვრიდან აგვისტოს თვემდი უდრის 8134 მილ., გასავალი კი 15.747 მილ. ასეთი დეფიციტი კი უმთავრესად მიღებულია იმის გამო, რომ ბევრ მომხმარებლებს, როგორც კერძოს, ისე საბჭოთა დაწესებულებებს, თავის დროზე არ შემოჰქონდათ ფული.

დეფიციტი კი დაიფარა ალმასკომის სალაროს ყოველდღიური დოტაციით.

ქალაქის აბანოები.

ქალაქის აბანოების მუშაობა თან და თან მატულობს. მაგალითად, 1922 წლის იანვარში აბანოებით ისარგებლა 42.541 კაცმა, სექტემბერში კი 73,710 კ. მაშასადამე, ამ 9 თვის განმავლობაში ჩვენ დიდ განსხვავებას ვხედავთ მოსარგებლეთა რიცხვის შორის.

ზოგიერთი დაშავებული აბანოების შეკეთების შემდეგ მათი სამსახური უფრო დიდდება, მაგრამ ფინანსიური მხრით საქმე მაინც ვერ სდგას მაგარ ნიადაგზე.

აღნიშნულ 9 თვის განმავლობაში ყველა აბანოების შემოსავალი იყო 5.760 333.000 მან. გასავალი კი 5.432.116,550 მან. ამ ხარჯიდან პირად შემადგენლობის ჯამაგირებისათვის გაცემულია 2.351.624.150 მ. ე. ი. მთელი ხარჯების 43,3 პროც.

ყინულის დამამზადებელი ქარხანა.

ყინულის დამამზადებელი ქარხანა მოქმედობს ამ მიმდინარე წლის ივნისიდან ენკენისთვის დამლევამდე. ამ ხნის განმავლობაში გამოუშვა 25,558 ფუთი ყინული, აქედან გაყიდულია 23.045 ფ. 25 გ., გაცემულია უფასოდ 1261 ფ. 30 გ., უვარგისი გამოდგა 644 ფ. გალღვა 551 ფ. 25 გირ.

ქალაქის სასაკლაო.

1922 წლის იანვრიდან ენკენისთვემდე ქალაქის სასაკლაოზე მოყვანილ მსხვილფეხა საქონლის რიცხვი უდრიდა: იანვარში მორეკილია 4.012 თავი, თებერვალში კი 2170 თავი, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ იანვართან შედარებით თებერვალში მორეკილი საქონლის რიცხვი საგრძნობლად მცირდება. მარტიდან კი თანდათან იწევს მაღლა და აღემატება იანვრის თვეს 20,2 პროც.

წვრილფეხა მოდენილი საქონლის რიცხვი კი თებერვლიდან აპრილის დამლევამდე სულ კლებულობს და იანვრის თვეზე დაბლა სდგას, ხოლო მაისიდან კი სულ მატულობს და სექტემბერში აღემატება იანვრისას 146,1 პროც.-ით.

ღორების მორეკა კი წარმოებს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში შემდეგ ნაირად: იანვარში—964, თებერვალში—759 და მარტში—652. დანარჩენ თვეებში კი ღორის მოყვანა არ არის აღნიშნული.

ახლა გადავათვალიეროთ საქონლის დაკვლის საქმე.

მსხვილ ფეხა საქონელი 9 თვის განმავლობაში მორეკილია 26.325 სული. დაკლულია 16,876, ე. ი. 64,1 პროც.

წვრილ-ფეხა საქონელი მორეკილია 48.326, დაკლულია 41.944 სული, ე. ი. 86.8 პროც. ღორები მორეკილია სამი თვის განმავლობაში 2.375, დაკლულია 2.209, ე. ი. 93 პროც.

საერთოდ კი მორეკილია სულ 77.025, აქედან დაკლულია 61.629, ანუ 79,2 პროც. მორეკილ საქონლისა.

მთელი ამ 9 თვის განმავლობაში, სასაკლაოში შემოვიდა 9.395.644.000 მ. გასავალი კი უდრის 9.411.721.000 მან. აქედან შტატების ჯამაგირზე დახარჯულია 3.513.374.346 მ. ანუ მთელი ხარჯის 37.3 პროც.

საერთო დასკვნა.

კომუნალური წარმოება საზოგადოთ მატულობს; წარმოებათა პროგრესი შესამჩნევია. უმთავრეს დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ფინანსიური გაჭირვება, რაიც ძალზე აფერხებს კომუნალურ დაწესებულებათა მოქმედების გაძლიერებას. ფინანსიურ გაჭირვების მიზეზად უნდა ჩაითვალოს, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, კომუნალურ სამსახურისათვის გადასახადის გადაუხდელობა, რაც კომუნალურ მეურნეობას არ აძლევს საშუალებას აქამდის სავსებით გაატაროს ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ქრონიკა

ქალაქის ალმასკომში.

— **პრემიალური ჯილდო ტრამვაის მუშებისათვის.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა თანახმად ამხ. იგორმაშვილის მოხსენებისა, პრინციპიალურად მიიღო პრემიალური ჯილდოს შემოღება ტრამვაის მუშებისათვის, ხოლო პროექტი გადასცა საფინანსო განყოფილებას გადასამუშავებლად და შესასწორებლად.

— **საბინაო განყოფილებაში.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბინაო განყოფილების გამგის თანაშემწეთ ამხ. წულაძე.

— **საბურთალოში ადმინისტრატიული პუნქტის გახსნა.** პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი და პრინციპიალურად მიიღო, საბურთალოში ადმინისტრატიული პუნქტის დაარსების შესახებ, რომლისათვისაც დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დავალა სამმართველოს ადმინისტრატიულ განყოფილებას.

იუსტიციის კომისარიატში.

— **საკომერციო ოპერაციების აღრიცხვა.** ვინაიდან მოახლოებულია სამრეწველო გადასახადების აკრეფის დრო, მთავრობის წინადადების თანახმად იუსტიციის კომისარიატის საუწყებათაშორისო კომისიამ განიხილა დეკრეტის პროექტი კომერციულ ოპერაციების აღრიცხვის შესახებ. პროექტი მიღებულ იქნა კომისიის მიერ მცირე შესწორებით. პროექტის ძალით შესაძლებელია სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა იმ პირების, რომლებიც ხსენებულ გადასახადს მათზე შეწერილს დროზე არ გადაიხდიან, აგრეთვე ის მოსამსახურეები, რომლებიც არ მიაწვდიან ნამდვილ ცნობებს გადასახადთა მიმწეროს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **ალმასკომების აღწერა.** შინაგან საქმეთა სახ.კომისარიატმა დაასრულა აღწერა და ცნობაში მოყვანა ყველა თემების ალმასკომებისა და ეკონომიური ერთეულების. აღწერაში ნაჩვენებია თემების ალმასკომების საფოსტო-სატელეგრამო ადგილი, რკინის გზის მახლობელი სადგური და სხვ.

რკინის გზაზე.

— **მექრთამეობასთან ბრძოლა.** ვინაიდან აღმოჩენილ იქნა მექრთამეობა საქართველოს რკინის გზების დამცველ მილიციონერებს შორის, საქ. რკ. გზების სამმართველომ გადაწყვიტა დაარსებულ იქნეს ასეთ მოვლენასთან მებრძოლი კომისია, რომლის მოვალეობა იქნება შექმნას საჭირო დისციპლინა მილიციონერებს შორის და ებრძოლოს მექრთამეობას.

შრომის კომისარიატში

შრომის ბირჟის განყოფილება

— **შრომის ბირჟის მოწესრიგება.** შრომის ბირჟის მუშაობის სახელმძღვანელოთ და შრომის ბირჟის მოსაწესრიგებლად ერთი მხრივ [illegible] მეორე მხრივ პროფესიონალურ [illegible] საზოგადო ორგანიზაციათა შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, დაარსებული იქნა შრომის ბირჟის კომიტეტი (ოქტომბერში) რომელსაც საანგარიშო თვის განმავლობაში ჰქონდა 3 სხდომა და გაარჩია 32 საქმე. უმუშევართა მოძრაობის სურათს იძლევა შემდეგი გარემოება: აღრიცხული იქნა ოქტომბერში 2384 მამაკაცი და 1044 დედაკაცი უმუშევარი რაც შეადგენს სულ 3726 უმუშევარს, მოთხოვნილი იყო 1726 კაცზე გაგზავნილ იქნა სამუშაოზე 1879 უმუშევარი, მოხსნილ იქნა აღრიცხვიდან 211 უმუშევარი, 1 ნოემბრისათვის აღრიცხვაზე დარჩა სულ 12,214 უმუშევარი; ამ რიგად 100 მოთხოვნილებაზე მოდიოდა 1986 უმუშევარი.

— **უმუშევართა დაზღვევა.** აგვისტოში დაზღვეული იქნა 441 უმუშევარი, რომლისათვის გაცემული თანხა უდრის 218,416,000 მანეთს, სექტემბერში დაზღვეული იქნა 850 უმუშევარი, რომლებიც პროფკავშირების მიხედვით შემდეგნაირათ ნაწილდებიან: საბჭოთა მუშაკების პროფკავშირს დაეთმო 150 წევრის ადგილი დაზღვევისათვის, სახალხო განათლების—80; სურსათ-სახოვაგის—150; ტრანსპორტზე მომუშავეთა—80; მელითონეთა—80; მეტყევეთა—110; კომუნალურ მეურნეობის—10; მიწა ტყის—20; სახალხო [illegible]—10; ქსოველთა — 40; მკერავთა—40; ღვინისმშენებლობის—30; ხეზე-მომუშავეთა—20; მელოგნების—20; განათლების—30; სამთო მადნის მუშების—10; მბეჭდავთა—20 და სამედ. სანიტარულ შრომის პროფკავშირის—4.

— **სამშობლოში გაგზავნა.** ოქტომბერში გაგზავნილი იქნა თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე 28 უმუშევარი, რომლებსაც მიეცა სამგზავროთ სახარჯო ფული და შეღავათიანი ბილეთები 50 პროც. დაკლებით.

— **უმუშევართა ბავშვების განთავისუფლება სწავლის ფულისგან.** სწავლის ფულის გადახდისაგან განთავისუფლებული იქნა 50 უმუშევარის ბავშვი.

— **შრომის ბირჟის გარეშე.** საკონტროლო კომისიის მიერ დათვალიერებულ იქნა 16 დაწესებულება და შეჩნეულ იქნა 21 შემთხვევა მუშა მოსამსახურეთა შრომის ბირჟის გარეშე მიღების, რის წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

— **კვალიფიციური უმუშევრები.** უმუშევართა კვალიფიკაციის გამომრკვევ საექსპერტო კომისიას ჰქონდა 8 სხდომა, გამოცდაზე უნდა გამოცხადებულიყო 460 უმუშევარი, გამოცდა ჩააბარა 362 უმუშევარმა, ჩაჭრილ იქნა 32, ხოლო არ გამოცხადდა გამოცდაზე 66 უმუშევარი.

სხვა და სხვა.

— **დახმარება ქუჩის ბავშვებს.** 12 ნოემბერს დილით კვირას, მუშაობდენ თბილისის ყველა გოგირდის აბანოები, ქუჩის ბავშვთა დასახმარებლად, რომლის შემოსავალი 25,700,000 მანეთი გადაეცა ქუჩის ბავშვთა დამხმარე კომიტეტს და არა ამხ. კამოს სახელობის საბავშო სახლის კომისიას, როგორც ეს შეცდომით იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში.

— **დახმარება „წითელ მხედარს“** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ გადასდო „წითელი მხედრის“ დასახმარებლად 25 მილიონი მანეთი.

— **წითელ ყაზარმებისათვის.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მიეცეს წითელ ყაზარმებს 100 მილიონი მანეთი.

— **ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუდგა 1923 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

ხელოვნება

— **სახელმწიფო გამომცემლობა.** სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ვაჟა-ფშაველას მეორე ტომის გამოცემას, რომელშიდაც უმთავრესად მოთავსებული იქნება პოემები. წიგნის რედაქცია მინდობილი აქვს ს. აბაშელს.

— **ახალი ჟურნალი.** მწერალთა ერთი ჯგუფი 15 დეკემბრიდან გამოსცემს ყოველ თვიურ სალიტერატურო ჟურნალს.

— **სახალხო სახლი.** სახალხო სახლის მთავარი რეჟისორი შეუდგა მზადებას კ. გერგესილის ახალი პიესის „დამარხული წალკოტი“. პიესის სიუჟეტები რევოლიუციონურია, პიესა ავტორმა წაიკითხა ხელოვანთა ვიწრო ჯგუფში, რომელმაც საინტერესო შთაბეჭდილება დასტოვა. პიესა დაახლოებით წარმოდგენილი იქნება 15 დეკემბერს.

— **იაკობ ნიკოლაძის წიგნი.** იბეჭდება იაკობ ნიკოლაძის წიგნი, რომელიც გამოვა მისი იუბილეის დღეს, 11 დეკემბერს. წიგნში მოთავსებული იქნება წერილებთან ერთად რეპროდუქციები ნიკოლაძის ქანდაკებათა.

დღეს თეატრებში.

სახ. ოპერა.—ლაკმე, სტაროსტინას, სარაჯიშვილის, შარაშიძის, თუმანიშვილის, ნეიმანის და სხვ. მონაწილეობით, რუსთაველის თეატრი—თათრული წარმოდგენა, სახალხო სახლი—ქართული დრამა, მუშათა ცენტრ. კლუბი— ქონდრის კაცების წარმოდგენა, ახალი თეატრი—„მოჩვენებითი ავადმყოფი“—კონსერვატორია—არქანისის საღამო, დიდი კონცერტი საუკეთესო არტისტიულ ძალების მონაწილეობით. კინო-მინიონი—ბნელეთის სიბოროტე, ლ. ტოლსტოისა, აფასტო—ტარზანის ქალიშვილი 1 სერია, სოლეული ჯვრის ტუზი 3-ე სერია, კინო ზერკალნი—ცეცხლის შურისძიება, კინო კამერნი—საყვარელი თილისმაა. კინო პალასი—ტარზანის ქალიშვილი—5-ე სერია, კინო აპოლო—თეთრი ღმერთი. კინო ალკრე—ყვითელი ეშმაკის შაიკა, ცირკი—მრავალფეროვანი საინტერესო პროგრამა და ფრანგული ჭიდაობა.

მუშათა ცხოვრება

წერილი თელავიდან

გაზეთ „კომუნისტში“ (№ 265, 18 ნოემბერი) მოთავსებულია წერილი თელავიდან უმუშევარის ფსევდონიმით ხელმოწერილი თელავის პროფბიუროს პასუხის მგებელ მდივნის, ალექ. რუხაძის შესახებ. ამ წერილით ბრალსა სდებენ ალ. რუხაძეს შრომის კანონების დარღვევაში და არა კანონიერ მოქმედებაში, როგორც არის მაგალითად მუშათა კოოპერატივიდან ჯამაგირის მიღება. ეს ბრალდებები ეხებოდა რუხაძეს არა როგორც კერძო პირს, არამედ როგორც პროფბიუროს პასუხის მგებელ მდივანს. ამიტომ პროფკავშირების პლენუმის სხდომამ მოკიდა ხელი აღნიშნულ ბრალდებების საბუთიანათ გამორკვევას და ამით უნდოდა გაეგო რამდენათ შეეფერება სინამდვილეს წერილში მოყვანილი ბრალდებები. ამ მიზნით პლენუმის სხდომამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც შევიდნენ სამაზრო პარტკომის პასუხის გმებელი მდივანი ამხ. სტურუა, 2) პოლიტ-განათლების განყოფილების გამგე ამხ. კიზარია და 3) მაზრის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ნ. ქაშაკაშვილი. ასეთი შემადგენლობით კომისია შეუდგა სასწრაფოთ საკითხის გამორკვევას. ყველა ბრალდებები საბუთიანათ გაარჩია ოფიციალურ დოკუმენტებთან შედარებით და მოწმეების დაკითხვის საშუალებით. პირველი ბრალდების ე. ი. დარაჯის მიღების შესახებ, შრომის განყოფილების გარეშე, კომისიამ გამოარკვია, რომ დარაჯი მიღებულია სამსახურში საბჭოთა მუშა მოსამსახურეთა პროფკავშირის პასუხისმგებელ მდივნის ტ. ხ. ჩიძის და მედიკო სანიტარ შრომის კავშირის პასუხისმგებელ მდივნის ალ. მარტინოვის მიერ იმის შემდეგ, რაც მათ მიმართეს შრომის განყოფილებას და მან კი დარაჯის თანამდებობაზე კაცი არ გაუგზავნა. მიღებული სამსახურში დარაჯი აღმოჩნდა უმუშევართა რეგისტრაციაში გატარებული (ოფიციალური ცნობა შრომის განყოფილების ა. წ. 21 ნოემბრიდან № 2600).

ქუპატაძის და შინგაზდილოვის სამსახურში მიღების შესახებ კომისიამ შეკრიფა ცნობები და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პირები მიწვეული ყოფილა კონტრაქციის სახით პირველი მიწა-ტყის მომუშავეთა, მეორე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ადგილობრივ კომიტეტების გამგეობაში (ოქმი ა. წ. 9 ნოემბრიდან) ამასთანავე ეს პირები შრომის განყოფილებაში უმუშევართა რეგისტრაციაში ყოფილან გატარებული. (ოფიციალური ცნობა შრომის განყოფილების უმუშევართა რეგისტრაციაში გატარების შესახებ ა. წ. 21 ნოემბრიდან № 2600). ასეთაც რომ არ ყოფილიყო გამგეობაში მიწვეულ პირებისათვის უმუშევართა რეგისტრაციაში გატარება არ არის სავალდებულო

რაც შეეხება რუხაძის მიერ მუშათა კოოპერატივიდან ჯამაგირის მიღებას, კომისიამ გამოირკვია, რომ რუხაძეს როგორც მის წინა-მოადგილეს მუშათა კოოპერატივში ულია ჯამაგირი კოოპერატივის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად ეს ჯამაგირი უმნიშვნელო არის, მაგრამ დეკრეტის გამოსვლის შემდეგ, რომლითაც პასუხის მგებელ მომუშავეს ორ ალაგას ჯამაგირის მიღების უფლება არ აქვს, რუხაძის მთელი მიღებული ფული უკან დაუბრუნებია კოოპერატივისთვის ასე რომ რუხაძეზე არავითარი თანხა მიღებული მუშათა კოოპერატივიდან ჯამაგირის სახით არ ითვლება. (ოფიციალური მიწერილობა კოოპერატივის 20 ნოემბრიდან № 245) აქ აღნიშნული საბუთების მიხედვით კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ყველა ის ბრალდებები, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „კომუნისტში“ № 265 პროფბიუროს პასუხისმგებელ მდივნის ალ. რუხაძის მიმართ არის უსაფუძვლო.

კომ. ს წევრნი: 1) ქ. სტურუა, 2) ი. კიზარია, 3) ნ. ქაშაკაშვილი.

ქალაქის სასაკლაო

ხანგრძლივ ძილისა და მდუმარების შემდეგ, როგორც იყო ადგილკომმა გაახილა კულტურული მუშაობა. ჯერჯერობით ბევრია გაკეთებული წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში. გახსნილია ორი სკოლა, სომხური და ქართული. ასწავლიან რუსულსაც ამ სკოლებში სწავლობს 45 მუშა, მალე ამ სკოლების წყალობით წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენ შორის არავინ დარჩება. მაგრამ არ კმარა მარტო წერა-კითხვის ცოდნა. საჭიროა თვითგანვითარება და პოლიტიკის ანბანის შეთვისებაც. საჭიროა ხშირ-ხშირათ მოხსენება-ლექციების კითხვა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ საჭიროა მეორე საფეხურის სკოლაც. ადგილკომს ამაზე ზრუნვა და მუშაობა მმართებს.

მუშები ცოდნის შეძენას გულით ეკიდებიან. მათში ასეთი მისწრაფება დიდია.

ვ. ნ.

უმუშევრობასთან ბრძოლაც ასე უნდა

უმუშევრობასთან საბრძოლველათ ჩვენში ყველა საშუალება ჯერ კიდევ არაა გარყენებული. უმუშევრობა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ მას მარტო სახელმწიფოებრივი საშუალებით ვერ მოუღებთ ბოლოს.

ფეხსაცმელების სამკერვალოების უმუშევარი მუშები თავის საკუთარი ძალღონით შეეცადენ ამ სენთან შებრძოლებას. საბჭოთა სახელოსნოების დახურვამ ამ დარგის ბევრი მუშა დასტოვა ქუჩაში უმუშევრად. ეს უმუშევრები შეიკრიბნენ და დაარსეს კახეთის მოედანზე სახელოსნო, არტელის საფუძველზე. უმუშევრებმა არამც თუ თავის თავი გაიტანეს, არამედ თავის მუშაობით დიდი დახმარება გაუწიეს სხვა და სხვა წარმოების მუშა-მოსამსახურეებს, ფეხსაცმელების ნისიათ და ნაწილ-ნაწილათ გადახდით დამზადებით

სასურველია ამ მაგალითს მიბაძონ სხვა დარგის უმუშევარ მუშებმაც და საკუთარი შეერთებული ძალღონით შეებრძოლონ უმუშევრობას.

მომუშავე.

ანგარიშში მოტყუვდა

ზოგიერთ კერძო ვაჭარს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომ ძველი დრო წავიდა და ახლა ძველი ოინები ვერ გაუვათ ისინი ინერციით მოსამსახურეებთან დამოკიდებულებაში მაინც ძველ „პრიომებს“ იჩენენ. გინებას, უდიერათ მოპყრობას და ცემას კიდევ აქვს ზოგიერთ ალაგას ადგილი.

კაფე „ცენტრალის“ მეპატრონემ ფირალოვმა ასეთ საქციელში თავი ისახელა. ერთ მშვენიერ დღეს მისდგა და სცემა თავის მოსამსახურეს ნაკაიძეს. ესეც არ იკმარა და უწმაწური სიტყვით გინება და ლანძღვა დაუწყო ორკესტრის დამკვრელებს. ეგონა, ძველებურათ შემრჩებაო, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. თავი გაყო სახალხო სასამართლოში, სადაც მას მიუსაჯეს სამი თვით მძიმე სავალდებულო მუშაობა. ნუთუ აწი მაინც არ გაიგებს, რომ ძველი დრო წასულა და რომ ახლა მუშის ინტერესებისა და უფლებების გათელვა არც ისე იოლი საქმეა.

დამსწრე

კონფეტების ფაბრიკებში მომუშავენი

საერთოდ კონფეტების ფაბრიკებში მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ყველგან ცუდია. შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარებას ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ მხრივ ყოველივეს აჭარბებს კორსუნის კანფენტების „ფაბრიკა“ სახელოსნო, ამ „ფაბრიკაში“ მზადდება „ტიანუშკები“. „ფაბრიკაში“ მუშაობს 8 მუშა, სამწუხაროდ მუშებში ნაკლებათ არის განვითარებული კლასიური შეგნება, შრომის დაცვის კანონების დარღვევაში თვით მუშები უწყობენ ხელს ხაზეინებს. მუშებს ხაზეინებთან „მორიდების“ გამო თავიანთი ინტერესები დავიწყებიათ და ხაზეინების ყურმოჭრილ მონებად გამხდარან მუშები გონებრივათ ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, ეს დამოკიდებულია, სხვათა შორის, იმ გარემოებაზე, რომ მუშათა რიცხვი ამ „ფაბრიკაში“ ძლიერ მცირეა და რაიმე კულტურული მუშაობა მათ შორის ძნელია.

კარგს იზამს კავშირი, თუ ამ ფაბრიკის მუშებს შეუერთებს სხვა ამავე დარგის მუშებთან. საჭიროა ამ დარგის მუშებს მიექცეს მეტი ყურადღება.

მოკეთე

ზლატოვორსკის გამგის ქარხანაში

ამ ქარხანაში მუშაობს 5 მუშა, მათ შორის ერთი ქალია, მუშების მდგომარეობა ვერ არის კარგი, მატერიალური პირობები მუშებისა ძლიერ ცუდია. შრომის დაცვის კანონების გატარებას ცხოვრებაში ნაკლებათ ექცევა ყურადღება. ადმინისტრაცია თავის სიმაღლეზე ვერ სდგას. მასზე დაკისრებულ მოვალეობას ცხოვრებაში ვერ ატარებს. მუშების დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან მწვავე ხასიათს იღებს. მუშებს ძლიერ ცუდ პირობებში უხდება სამუშაოს ასრულება ქარხნის სანიტარულ-ჰიგიენიური მხარე სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. ამ გარემოების გამო ინსპექციის მიერ რამდენჯერმე იყო წარდგენილი მოთხოვნილებანი, მაგრამ მოთხოვნილება ქაღალდს არ გასცილებია, კარგს იზამს შრომის ინსპექცია ასეთ გათავხედებულ ვაჭბატონის წინააღმდეგ მიიღებდეს მკაცრს ზომებს და ჭკუას ასწავლიდეს. ქარხანაში სამუშაოთაც და ქარხნის გარეშეც მუშებს ერთი და იგივე ტანისამოსი აქვთ. სპეც-ტანისამოსს, ვერ იქნა და ვერა, ვერ ეღირსენ კარგი იქნებოდა ქარხანასთან სამრეცხაო მაინც დაეარსებიათ და მით საშუალება მისცემოდათ მუშებს გაჭუჭყიანებულ ტანისამოსების გარეცხვისა.

გამვლელი

პროვინცია

დ. ჩოხატაური

აქ განზრახულია დასრულებულ იქნას საავადმყოფო, რომელიც დაწყებულია თითქმის 10 წელზე მეტია და რომლის დასრულებასაც ხელი შეუშალა ომიანობამ.

ამ განცხადებას დიდის აღფრთოვანებით შეხვდა მიტინგი, მიტინგმა დაავალა ადგილობრივ აღმასკომს, რათა ამ უკანასკნელმა საბჭოს კრებაზედ აირჩიოს საავათმყოფოს აღმშენებელი კომიტეტი. ჩოხატაურის აღმასკომის მიერ ეს კითხვა გადატანილ იქნა საბჭოს სხდომაზედ, რომელმაც შეადგინა საავათმყოფოს აღმშენებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 1. თ. ჩ ჩუა, 2. გ. ნინიძე, 3. ს. კაკალიძე, 4. ი. მეკრელიშვილი, 5. მ. ცინცაძე, 6. ქ. ცინცაძე და 7. პ. ცინცაძე. აღნიშნულ კომისიას ევალება ზრუნვა საავათმყოფოს მასალების დასაგროვებლათ, შეწირულებების შეგროვება და სხვა.

ჩვენის აზრით საჭირო არ არის ბევრი იმის ახსნა-განმარტება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საავათმყოფოს, რომელიც უნდა ემსახუროს მთელ აღმოსავლეთ გურიას. თუ ახლო მომავალში არ იქნა დამთავრებული ეს შენობა მისი ის დაწყებული ნაწილიც, რომელიც აგებულია დიდის შრომითა და საზოგადოების ფულით, სულ მოკლე დროში ისე დაიშლება, რომ შეუძლებელი გახდება მაზედ შენობის აგება, ერთი მეტად თვალსაჩინო დახმარება ამ საავადმყოფოს აღუთქვა აკეთის თემმა. მთელი შენობისათვის საკმაო კრამიტის მიწოდებით. ეს უდიდესი დახმარება არის და წამახალისებულია, რომ დაინტერესებულმა პირებმა და ორგანოებმა მართლაც სერიოზულად შეუდგენ საავადმყოფოს დასრულების საქმეს. ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ სხვებიც მიბაძავენ ამ მაგალითს, მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას და დახმარების ხელს გაუწოდებენ ამ მეტად სიმპატიურ და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს.

„ნაზი“.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს სათათბირო დარბაზში გაიმართება ქ. თბილისის მუშა-ქალთა დელეგატების საერთო საქალაქო კრება დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო კომუნისტური მუშათა მოძრაობა—ამხ. გოლუბიევას მოხსენება.
2. ვენერიული ავადმყოფობანი და ბრძოლა მასთან—მომხსენებელია ექიმი მონინი.
3. მიმდინარე საქმეები.

ვთხოვთ ყველა მუშა ქალებს, რომელთაც ეს საკითხები აინტერესებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

— **ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების სხდომა.** ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების კოლეგიის სხდომა, მოწვეულ იქნება საჭიროების და მიხედვით. შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, მისი მოადგილე, ცენტრალურ კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი, ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო და საგიტ. და პროპაგანდო განყოფილებები, ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის წარმომადგენლობა და ამხ. ალექსანდროვა.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების პლენუმის სხდომა გაიმართება ყოველ კვირაში შაბათობით დილის 9 საათიდან, შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტ. ქალთა განყოფილების კოლეგიის წევრები, რაიონების ქალთა განყოფილებების გამგეები.

ქალთა განყოფილების
გამგე **დალნაია.**

— 2-ე რაიონის ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად საქ. კომპარტ. ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილება აგზავნის აქ ლიუბა კობახიძეს. ხსენებულმა ამხანაგმა უნდა მიმართოს ცნობების და დირექტივების მისაღებად 2-ე რაიონის ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. ლიოზნიანსკიას.

ტფილისის კომ. ქალთა განყოფილების გამგე **დალნაია.**

— სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ ა. ესენის მარქსისტულ წრეს (რუსულ ენაზე) თავისი მეცადინეობა გადააქვს პარტიის მეორე რაიკომის ბინაზე (მიხაილოვის და კიროჩნი ქუჩების კუთხე).

სამეცადინოდ რჩება წინანდელი დღეები—ოთშაბათი საღამოს 6 საათი.

საქ. კომ. პარტიის ტფ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

პროფესიონალური

— ქალაქის მილიციის გაწმენდის მეოთხე რაიონული კომისია იტყობინება, რომ ის იწყებს მუშაობას. გაწმენდის პირველ დღეთ გამოცხადებულია 7 დეკემბერი, ხუთშაბათი (ქალაქის აღმასკომის დარბაზში). გაწმენდა ვრცელდება მესამე და მეოთხე კომისარიატის მოსამსახურეების და თანამშრომლების კომ. შემადგენლობაზე. მასალები უნდა წარდგენილ იქნეს გაწმენდის რაიონულ კომისიაში, ამ მისამართით რუსთაველის პროსპ. № 22, მესამე სართული.

მილიციის გაწმენდის რაიონული კომისია.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 9 დეკემბერს

ცხვრის წყარო

დადგმა კ. მარჯანაშვილისა. დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 686—3—2)

სახელმ.
აკადემ.
თეატრი
ოპერა.

კასსა ღიაა
11—3 ს.
და საღამ.
6 წარმოდ-
გენის დამ-
თავრებამდე

დღეს, 8 დეკემბერს

ლაკმე

შაბათს, 9 დეკემბერს

ურიის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მესამე ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 685—1—1)

უმ. სამეურნეო საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი

ავჭალის ამხ. ლენინის სახელობის შუშეულობის ქარხანამ

დაიწყო მუშაობა

და ამზადებს ნახევრად თეთრი მინიდან სხვა და სხვა

ფორმის

ბოთლებს.

არის დამზადებული ბოთლები:

1/40—კონიაკის და არაყის;
1/20—კონიაკის;
1/100—1/200 სამონოპოლიო არაყის

მიიღება შეკვეთა ხარისხოვან ჭურჭლეულობაზე
შეკვეთები მიიღება უმ. ს. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტში სასახლის ქ. № 6.
(691—5—1)

* * *

მეცხვარეთა ამხანაგობა

„მწყემსი“-ს

გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 1923 წლის 23 იანვრისთვის (ძველი სტილით 10 იანვარი), ქ. ტფილისში, დილის 10 საათზე

დანიშნულია

რწმუნებულთა წლიური კრება

თანახმად წესდების მე-19, 21, 24 და 25 მუხლ., განსახილველად:

1. ანგარიშების დამტკიცება 1921 წლ. პირველ თიბათვიდან 1922 წლ. პირველ მაისამდის.
2. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
4. საბჭოს დებულება და წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება.
5. გასამრჯელოს დანიშვნა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისთვის.
6. ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობისა 1922 წლ. 1 თიბათვიდან 1923 წლ. 1 იანვრამდის. საძოვრების საკითხი საქართველოში და სხვა მიმდინარე საკითხები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. გამგეობის წევრის არჩევა თანახმად წესდების მე-31 მუხლ., ქ. ნ. აფხაზის მაგიერ.
9. საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები თანახმად წესდების მე 39 მუხლ.

თუ წესდების 24 და 25 მუხლების თანახმად, დანიშნულ დღეს, წევრთა აღნიშნულ რიცხვთა დაუსწრებლობის გამო, კრება არ შესდგა, კრება მოწვეული არის 24 იანვრისთვის (ახალი სტილით), დილის 10 საათზე, იმავე საკითხების განსახილველათ, და ეს კრება კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(3—1) „მწყემსი“-ს გამგეობა.

* * *

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

საფარმაცევტო განყოფილება

პასკევიჩის ქუჩიდან

გადავიდა

კავკასიის ამხანაგობის სააფთიაქო საქონლის საწყობის ბინაზე.
(ევანგულოვის და ბროსეს ქუჩ. კუთხე).
(3—1)

ამხანაგობა

„ხორც-პროდუქტი“

იყიდება

„სოლონინა“

(ძროხის ხორცის)
საკუთარი წარმოების
გაყიდვა სწარმოებს ამხანაგობის ყველა დუქნებში
ამხანაგობის კანტორა: სასახლის ქ. 6 (მე-3 სართული) ტელ. 9—84.
გამგეობა.
(კრ. 667—3—3)

ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ, ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება

27 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მოხდეს აღრიცხვა ყველა, როგორც [illegible], აგრეთვე ტვირთმზიდავ ავტომობილებისა.

2. ევალება ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებას, აგრეთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებლივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე აღსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. აღრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც აღრიცხვის დროს აღნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ეგენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

შენიშვნა: 1) დაბინდების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

შენიშვნა: 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მანქანებისას და იმ ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან აღრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და საღრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და საალრიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და საალრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო ღირებულების გადახდის შემდეგ.

შენიშვნა: 1) ნომრისა და საღრიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

შენიშვნა: 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითეულ ცალ ნომერზე 70 ათ. მან. და მოწმობისათვის 10 ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქის მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დააკავონ და გადმოაგზავნონ აღმასკომის სამმართველოს განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველი ისე მეორე მხარე, სახელმწიფო დაწესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის აღრიცხვა დაიწყება ამა წლის 11 დეკემბრიდგან დილის 9 საათზე.

1, 2, 3 სამილიციო რაიონები 11, 12 და 13 დეკემბერს.
4, 5, 6 და 7 „ „ 14, 15, 16 დეკემბერს.
8, 9 10, 11 და 12 „ 18, 19, 20 და 21 დეკემბერს.

10. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5.000 000 მან. და ჯარიმის გადახდამდე—კი ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელი კომიტეტის სარგებლობაში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ლ. დუმბაძე.
ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აბაშიძე.
სამმართველოს განყოფილების უფროსი პრეზიდიუმის
(კრ. 688—3—2) წევრი თაქთაქიშვილი.

საკონსულტაციო

სამკურნალო კაბინეტი ბავშვთა ექიმების:

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის

ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დღ ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტერნის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—23)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის მიერ

განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—18)

დაიკარგა პირადობის მოწმობა იოუდა იოსების ძე ცვენიაშვილის სახელზე, № 3264—3335 ჩაითვალოს გაბათილებულად.
(631—1—1)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.